რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 18 მარტი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. я. щ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 4 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 4

# დიდი რევოლიუცია.

## სადღეისო ლოზუნგები:

მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში!

გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლიუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში!

მიესალმეთ პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელიც უმთავრესი ბურჯია რევოლიუციის და საუკეთესო დარაჯი დემოკრატიის ინტერესების. მიესალმეთ აგრეთვე ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაც.

აცნობეთ მთავრობას, რომ საჭიროა დაუყონებლივ:

1. გამოიცვალოს ძველი რეჟიმის მთელი ადმინისტრაცია და ის გაგზავნილ იქმნას ფრონტზე.

2. განხორციელდეს სრული თავისუფლება კრების, სიტყვის, კავშირების და ორგანიზაციების.

3. დამყარდეს ეროვნებათა თანასწორობა.

4. დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლათ და ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარულ კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა.

დაიცავით ყოველგან ქალაქებში და სოფლებში სრული წესიერება, შეებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობას და კერძო საკუთრების მითვისებას.

მხოლოდ საერთო ძალღონით და მწყობრი მოქმედებით ყველა ოპოზიციურ და დემოკრატიულ კლასებისა განმტკიცდება დაწყებული დიდი რევოლიუცია.

საჭიროა ქალაქებში დაარსდეს მუშათა დეპუტატების საბჭო და მოქალაქეთა აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც მიზნათ დაისახვენ რეაქციის საბოლოო დატუქსვას და წესიერების დაცვას.

სოფლათ უნდა მოეწყოს გლეხთა სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საბჭოები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტები.

## მუშათა დეპუტატების

### საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

### მოთავსებულია უფილ მეფის მოადგილის სასახლეში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

## ნაციონალისტები და ეროვნული საკითხი.

ქართველმა ნაციონალისტებმა ვერაფერი ისწავლეს. ისინი საქმით მუდამ ებრძოდენ რუსეთის რევოლიუციას და მთელ თავის იმედებს დიპლომატიურ კომბინაციებზე ამყარებდენ. მათ რუსეთის ხალხი კაი ხანია დაასამარეს და შინაური ძალებით განახლების იმედი სავსებით დაკარგეს. რა გასაკვირალია, რომ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მათ თავზარი დასცა და დავთარი აურია. რუსეთში ახალი წყობილების განმტკიცება მათ ოდნავ არ აინტერესებს. ამიტომაც არის საერთო ინტერესებს გვერდს უხვევენ და მით ნებით თუ უნებლიეთ მოძრაობის დამარცხებას ხელს უწყობენ.

რევოლიუციამ უნდა გადაჭრას როგორც აგრარული, ისე ეროვნული საკითხიც. ყოველგვარი ბატონ-ყმური ნაშთების გაუქმება და ეროვნული მონობის მოსპობა დღიურ წესრიგში ისმება. რესპუბლიკანურ რუსეთში ერთა ჩაგვრას ბოლო უნდა მოეღოს, ამიერ კავკასიაში ეროვნული ურთიერთობა მოწესრიგდეს და ქართველი ერის სურვილები დაკმაყოფილდეს. ეს საყოველთაო აზრია.

მარა რა გზით შეიძლება ეს?

ქ თავი ორმა მიმდინარეობამ იჩინა:

**ტაქტიკა პირველი.** ქართველ ნაციონალისტებს რუსეთის რევოლიუციის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, საქართველოს საკითხს უტრიალებენ და დღიდან თავისუფლების გამოცხადებისა ეროვნული საკითხის გადაჭრას შეუდგნენ. მათ ფეხქვეშ გაითელეს რევოლიუციონერთა საერთო სურვილი—უპირველესათ რეაქციონერები ალაგმონ, ახალი წყობილება განამტკიცონ და მით დადებით მუშაობას გზა გაუკაფონ. ამავე დროს ისინი ივიწყებენ, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა სხვადასხვა ერთა შეთანხმებას მოითხოვს. უარყავით ეს გზა, ზურგი შეაქციეთ სხვა ერთა ინტერესებს და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ რუსეთი საერთოდ და კერძოთ ამიერ-კავკასია საყოველთაო შუღლისა და მტრობის ასპარეზი გახდება და ამ გზით რევოლიუცია აუცილებლათ დასამარდება. ეროვნული საკითხის გადაჭრას ელტვიან, ხოლო ქართველ ერს ახალ ბორკილებს უმზადებენ. ამიტომაც არის ამ გზით სოციალდემოკრატია ვერ ივლის.

**ტაქტიკა მეორე.** ძველი რეჟიმი დაემხო, დროებითი მთავრობა დაწესდა. რევოლიუციის გამარჯვება ახალი მთავრობის განმტკიცებას მოითხოვს. მოაკლეით მას თავიდანვე ნდობა, აუტეხეთ მას სასტიკი ბრძოლა და დარწმუნებული უნდა იყოთ, ეს გამოიწვევს მართვა-გამგეობის არევ დარევას, რევოლიუციონერთა ძალების დაქსაქსვას და კონტრრევოლიუციის ამოძრავებას. ამის თავიდან ასაცილებლათ ყველა რევოლიუციონური წრეები შეთანხმდენ და დროებით მთავრობას ზურგს უმაგრებენ. ასეთი შეთანხმება საფუძვლათ უნდა დაედოს ეროვნული საკითხის გადაჭრასაც. თავისუფალ რუსეთში არც ერთი ერი არ უნდა იჩაგრებოდეს. ამიტომაც ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ამიერკავკასიის ყველა ერთა წინასწარი თათბირის გამართვა და საერთო ეროვნული პლატფორმის გამომუშავება. ასეთ პირობებში დამფუძნებელი კრება იძულებული იქნება მას დასტური მისცეს და ყველა ერის სურვილი დააკმაყოფილოს.

ასეთია ორი გზა. პირველი რევოლიუციის დაუძლურებას იწვევს და მით სჭრის იმ ხეს, რომელზედაც უნდა აიმართოს დამორჩილებულ ერთა და კერძოთ ქართველთა ეროვნული თავისუფლება. მეორე გზა რევოლიუციას ამტკიცებს, მას მკვიდრ საფუძველს აძლევს და მით ეროვნული საკითხის გადაჭრას შესაფერ ნიადაგს უმზადებს. ეს ყველასათვის ცხადია, გარდა ქართველი ნაციონალისტებისა. ეს გასაკვირალი როდია. ისინი მუდამ რევოლიუციას და სოციალდემოკრატიულ პარტიას ებრძოდენ და ამაში ხედავდენ მთელ თავის დანიშნულებას. დღეს ისინი აშკარათ ხედავენ, რომ მათი იმედები გაცრუვდა, რუსეთის ხალხმა გაიმარჯვა, სოციალდემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდა, რევოლიუციას სათავეში მოექცა და დაუთარაზნეული ნაციონალისტებიც ნაცვლათ რეაქციისა სოციალდემოკრატიას ექვეთებიან და რევოლიუციის დასამარებას ემსახურებიან.

დროა ასეთ პოლიტიკას ბოლო მოეღოს. ნაციონალისტებმა დღეს მაინც უნდა იგრძნონ თავისი შეცდომა და რევოლიუციონურ ბანაკს გვერდში ამოუდგენ, რომ აერთო ძალღონით რეაქცია შემუსრონ და ეროვნული საკითხის გადაჭრასაც მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ.

## დროებითი მთავრობის სესხი.

რევოლიუციონურ მთავრობას განზრახვა აქვს გამოსცეს ახალი შინაური სესხი, რომელსაც „თავისუფლების“ სესხი ეწოდება. შესაფერ პროექტს უკვე იმუშავებენ. ეს პირველი სახალხო სესხია.

ომის განმავლობაში აბსოლიუტურმა მთავრობამ 1917 წ. 1 იანვრამდის 6 ჯერ გამოსცა შინაური სესხი და რამოდენიმეჯერ საგარეო. ამ ხნის განმავლობაში ნიკოლოზ მეორის მთავრობამ 18 მილიარდ მანეთზე მეტი სესხი გამოსცა, რაც რასპუტინებისა და პროტოპოპოვების სურვილისამებრ იხარჯებოდა. მათთვის ყოველგვარი სახელმწიფო შემოსავალი პირადი სიამოვნების წყაროს შეადგენდა. ხალხის ქონებას ისე ექცეოდენ, როგორც მოეპრიანებოდათ.

აბსოლიუტურმა მთავრობამ მთელი საუკუნის განმავლობაში რამოდენიმე მილიარდის სესხი აიღო. ეს უზარმაზარი თანხა, ტახტისა და მის ამყოლდამყოლ მუქთა ხორათა საჭიროებისამებრ იხარჯებოდა. ვალის 95 პროცენტი ბიუროკრატიული მექანიზმის განმტკიცებას ხმარდებოდა. გაიხსენეთ აუარებელი სტრატეგიული რკინის გზების გაყვანა, ბიუროკრატიული ტიპის სასწავლებლების გამრავლება, ურიცხვი ადმინისტრაციისა და საიდუმლო პოლიციის შენახვა და სხვა...

ყველა ასეთი ხარჯები სახელმწიფოს მცხოვრებთ უზომოთ ავალიანებდა და იგი ფრთოთ დემოკრატიას არაპირდაპირი გადასახადების სახით მძიმე ტვირთად აწვებოდა. მოკლეთ ძველმა მთავრობამ რუსეთის სახელმწიფო წარმოუდგენლათ დაავალიანა.

ომის ხანაში ხომ რუსეთის სახელმწიფოს შინაურ და საგარეო სესხის აღებას ბოლო არ უჩანს, რამაც მთელი სახელმწიფოს ნივთიერი და ფინანსიური მდგომარეობა სავსებით არივ დარია.

თავისთავათ ცხადია, ასეთ პირობებში ახალი რევოლიუციონური მთავრობა არსებული ხარჯების დასაფარავათ სესხის აღებას შეუდგებოდა. მას სხვა გზა არ გააჩნია. რაც იყო, ყველაფერი ძველი რეჟიმის მეთაურებმა გაფლანგეს და მცხოვრებნი უსაზღვროთ გაალატაკეს. ამ ჟამათ ახალი რევოლიუციონური მთავრობა მრავალ აუცილებელ ხარჯების გასასტუმრებლათ, ჩვეულებრივ შინაურ სესხს მიმართავს და იმედია ეს სესხი არ დაემსგავსება ძველი მთავრობას მიერ აღებულ სესხს. ახლა ხალხი მთავრობის მეტ ნდობას გამოუცხადებს, ვინაიდან მცხოვრებთა ფართო მასამ კარგათ იცის, რომ ახალი მთავრობის მიერ აღებული სესხი უმთავრესათ ხალხის ეკონომიურსა და კულტურულ საჭიროებაზე დაიხარჯება და მის დასაფარავათ არაპირდაპირ გადასახადებს კი არ მიმართავს, არამედ პირდაპირ პროგრესიულ გადასახადებს დააწესებს. ასეთ პირობებში თავისთავათ საგულისხმოა „თავისუფლების სესხი“ პოპულიარული იქნება და ხალხიც ახალ მთავრობას საშუალებას მისცემს გამაგრდეს და სამუდამოთ უზრუნველჰყოს ახალი წყობილება.

## კიდევ ფედერალისტები.

ფედერალისტების მოქმედება ერთსულოვან წინააღმდეგობას იწვევს ყველა რევოლიუციურ და პროგრესიულ წრეში. თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სამხედრო ორგანიზაციის დელეგატთა რეზოლიუცია, რითაც ეს მოქმედება დაგმობილია. რაშია საქმე?

თფილისის აღმასრულებელი კომიტეტი აგებულია სხვადასხვა კლასის და პარტიის შეთანხმებაზე და საერთო დროშის ქვეშ ერთათ მუშაობაზე. ფედერალისტები აქ სხვებთან ერთათ მუშაობენ და არც რაიმე განხეთქილებაა მათ და სხვების შორის. ყველა საყურადღებო ნაბიჯი ერთხმათ იდგმება. ამავე დროს ფედერალისტების ორგანო, „სახალხო ფურცელი“ წერილს წერილზე ათავსებს აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ, მის პრეზიდიუმს ლანძღვა-გინებით იხსენიებს, მის განკარგულებებს კიცხავს. ე. ი. ფედერალისტური პრესა ებრძვის იმას, რასაც მისი წარმომადგენლები აღმასრულებელ კომიტეტში იცავენ და ადასტურებენ. გამოდის რომ ამ საარაკო ხალხს ორმაგი პოლიტიკური ბუჰგალტერია აქვთ, ორ სკამზე ჯდებიან. ეს მათი ჩვეულებრივი თვისებაა, მარა დავიწყებიათ, რომ დრო გამოიცვალა და რევოლიუციური მოქმედების ხანაში ფარისეველთა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა მარტო პრესით არ ხდება.

მეორეთ, მათი მეთაურობით დაარსდა ქართველი ჯარისკაცთა და ოფიცერთა ერთი ნაწილის ორგანიზაცია; შეაყენეს თავის მომხრეთა სამხედრო ძალა. რისთვის, ვის წინააღმდეგ? ცხადია ვინმე მოწინააღმდეგეს უნდა შეებრძოლონ და მით თავისი პარტიული გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალით სისრულეში მოიყვანონ. სხვა აზრი არ შეიძლება ქონდეს არმიაში რასკოლის შეტანას და პარტიული მხედრობის შედგენას. ამნაირათ, თფილისში და მთელ რუსეთში ერთათ-ერთი ფედერალისტებმა მოახდინეს რევოლიუციური ჯარის გათიშვა და ცალკე ნაციონალური ორგანიზაციის დაარსება. ეს რასკოლი დაასრულეს იმით, რომ მათ სამხედრო ორგანიზაციის აღმასრულებელ კომიტეტმა მოითხოვა თავისი წარმომადგენლის დაშვება სალდათთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რაზედაც რასაკვირველია, უარი მიიღო.

როგორც ხედავთ, ფედერალისტებმა (და აგრეთვე მათ ამყოლ ნაციონალ-დემოკრატებმა) შეიტანეს რევოლიუციურ ჯარში უთანხმოება და დაქსაქსულობა. ასეთია მათი მეორე დიდი დანაშაული რევოლიუციის წინააღმდეგ.

მესამე დანაშაულობა გახლავს კიტა აბაშიძის გარეშემო ატეხილი დაუსრულებელი განგაში. მათ მოიწოდეს საჯაროთ ქართველობა პროტესტის გამოსაცხადებლათ დროებით მთავრობის წინააღმდეგ. ეს პროტესტები იბეჭდება „სახალხო ფურცელში“, ყოვლად უშსგავსო სიტყვებით შემკული. ფედერალისტებმა აამხედრეს საზოგადოების ერთი ნაწილი რევოლიუციური მთავრობის წინააღმდეგ და ეს იმიტომ, რომ ამ მთავრობამ თავადაზნაურობის ბაირაღტარის კიტა აბაშიძის*) ალაგას რევოლიუციონერი ჩხენკელი დანიშნა! ე. ი. გაილაშქრეს თვით რევოლიუციური პრინციპის წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, ფედერალისტები არ ინდობენ არც თფილისის აღმასრულებელ კომიტეტს, არც რევოლიუციურ ჯარს, არც რევოლიუციურ მთავრობას. ისინი გამოეთიშენ საერთო რევოლიუციურ ძალას. უარყვეს

*) საერობო თათბირზე ამ ვაჟბატონმა კატეგორიულათ განაცხადა: „მ ვითხოვთ ოთხმოცდაათი წლის ერობას, არც მეტს არც ნაკლებს“.

მისი დისციპლინა, გადაუდგენ ყოველივე იმას, რის გასამაგრებლათ ჟველა ვმუშაობთ და მით ქმნიან კონტრ-რევოლიუციის ნიადაგს.

ჩვენ მოუწოდებთ ფედერალისტების და ნაც. დემოკრატების გონიერ ნაწილს კარგათ ჩაუკვირდენ რას შვრებიან და დროზე შესწყვიტონ თავიანთი უმსგავსო გამოსვლები რევოლიუციური მთავრობის, ჯარის და აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული—დროზე ჩადგენ საერთო რევოლიუციურ კალაპოტში და თავისი ნაციონალური მოთხოვნილებანი სხვებთან შეთანხმებით გამოიმუშაონ. მათ კარგათ უნდა იცოდენ, რომ განდგომით განცალკევდებიან და მით სამუდამოთ დამარცხდებიან.

ჩვენ მოვითხოვთ საერთო რევოლიუციურ ტაქტიკას, ახალი წყობილების გასამტკიცებლათ, ხოლო ნაციონალურ კითხვაზე შეთანხმებას და მის დამფუძნებელ კრებამდის გადადებას.

## მუშათა კლუბები.

რევოლიუციის ტალღებმა ამოატივტივეს დროებითი მთავრობა. სამი თვის შემდეგ მან უნდა გადასცეს ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას. ეს კრება, რომელიც იქნება არჩეული პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით—გადასწყვეტს რუსეთის მომავალს. თავისთავად ცხადია, ხალხის ფართო დემოკრატიული ნაწილები, რომლებმაც ძველი მთავრობის რეჟიმი იგემეს—მოითხოვენ მეფობის სრულ გაუქმებას, მაგრამ საზოგადოების უმაღლესი წრეები, რომლებიც შეგუებული იყვნენ ყოფილ მთავრობის რეჟიმს—ეცდებიან აღადგინონ ძველი რეჟიმი თუ მთლად არა—განახლებული მონარქიის სახით მაინც. ამ ორ პოზიციის ირგვლივ უნდა გაჩაღდეს საარჩევნო ბრძოლაც. და რომ გამარჯვებული გამოვიდეთ ამ ბრძოლიდან, საჭიროა არა მარტო ორგანიზაციების მოწყობა—არამედ დაწვრილებითი მოფიქრება, თუ რანაირ გზას დავადგეთ მომავალ არჩევნებისათვის.

ამ მიზნისათვის ჩვენ ყოველგვარ საშუალებას მივმართავთ. ჩვენ მოვაწყობთ კრებებს ცის ქვეშ, დარბაზებში. ფართოდ გამოვიყენებთ სტამბასაც, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენთვის საჭიროა ეხლავე მოვაწყოთ ისეთი ცენტრები, სადაც მუშები და ჯარისკაცები ყოველ დღე შეხვდებიან ერთმანეთს, სადაც სამიტინგო სიტყვებთან ერთად ისინი მოისმენენ მოხსენებებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების რეფორმების შესახებ და სადაც მუდმივი კავშირი დამყარდება, რაც აუცილებელი საჭიროა პოლიტიკურ ჯგუფების მოსაწყობად.

ამგვარ ცენტრებად შეიძლება იყოს კლუბები. მუშებს კარგად ახსოვთ, თუ რა დახმარება გაგვიწია სოციალისტურმა კლუბებმა ამ რამოდენიმე წლის წინეთ. ეს იყო რეაქციის პარპაშის დროს. მთავრობამ რასაკვირველია იცოდა რაში იყო საქმე და დაუნდობლად გვახრჩობდა. ეხლა პირობები შეიცვალა. რევოლიუციონურმა ტალღამ შთანთქა ჟანდარმები, ჯაშუშები და პოლიციელები. ჩვენს წინ თავისუფალი ფართო გზაა. ამიტომ ჩვენ ეხლა თამამად შეგვიძლია შევუდგეთ ჩვენს საქმეს.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა.

ცოდნა—ძალაა. მაგრამ ჩვენ ეხლა უნდა შევჩერდეთ მასის პოლიტიკურ აღზრდაზე რადგან ამას დღევანდელი მომენტი გადაჭრით ითხოვს. ჩვენი კლუბები პოლიტიკური უნდა იყვნენ. ამ კლუბებში უნდა გაირკვეს ის მრავალი პოლიტიკური კითხვები, რომლის განუხორციელებლად ყოვლად შეუძლებელია, საერთო კულტურული მუშაობა. საარჩევნო კომპანიის დამფუძნებელ კრების მოსაწვევათ გაჩაღებული ითხოვს მრავალ კითხვების კოლექტიურად გადაჭრას. სწორედ ამ მიზნით საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ხალხის მომზადება პოლიტიკური კლუბებით დაიწყო. ასეთები იყო, იაკობინელთა, ფეილიანელთა წმ. ანტონის მიდამოებში გახსნილი კლუბები და სხვა. ამ კლუბებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს მაშინდელ დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორია იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ იარაღით ისარგებლეს არა თუ მუშებმა, არამედ ბურჟუაზიამაც, კონსტიტუციის და მონარქიის მომხრეებმა. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა ისარგებლებენ პოლიტიკური პროპაგანდის გასაწევათ კლუბებით. ამიტომ ჩვენ უნდა დაჩქარებით შევუდგეთ პროლეტარული კლუბების დაარსებას. ამ საშუალებით შეგვიძლია შევებრძოლოთ იმათ, ვინც დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგი არიან.

ჩვენი პოლიტიკური კლუბები უნდა დაუკავშიროთ ჩვენს სხვა ორგანიზაციებს, უამისოთ კლუბები თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ შეასრულებენ. კლუბების მეოხებით ჩვენ ყოველ დღე შევიძენთ ახალ-ახალ მომხრეებს.

ამხანაგებო, მოაწყვეთ კლუბები! კლუბები გზის მაჩვენებელი უნდა გახდეს მასისათვის, რომელიც ეძებს აზრს, მაგრამ არ იცის გზა. რაც შეიძლება მეტი კლუბები და რაც შეიძლება მალე. (პეტრ. მუშ. დეპ. საბჭოს უწყება).

## პრესა.

ფედერალისტები განაგრძობენ თავის გზას—კონტრ-რევოლიუციის ნიადაგის მზადებას.

აი რას სწერს „ჩვენი მეგობარი":

„მთავრობის ამგვარი ნაბიჯი (კ. აბაშიძის გადაყენება. მეპრ.) ჩვენ მეტათ საშიშარ ნაბიჯათ მიგვაჩნია დღევანდელი მომენტისათვის, როცა საყოველთაო თავისუფლებისათვის საბრძოლათ სოლიდარობაა აუცილებელი და აღნიშნული ნაბიჯი კი აუცილებლათ პარტიათა შორის და მთელი ქართველი ერის შემადგენლობაში **ხახტიკ ბრძოლასა და სისხლის ღვრასაც გამოიწვევს**".

შავრაზმელები და ბნელი ძალები მუდამ ასე ემუქრებიან რევოლიუციონერთ. მარა ამ ნაძირალებს დავიწყებიათ, რომ დემოკრატიამ დაამხო მონარქია და მას შეუძლია საბოლოოთ ალაგმოს ფედერალისტთა ბნელი ძალებიც. დღეს ეჭვს გარეშეა, რომ სწორეთ კონტრ-რევოლიუციონური მიზნით გათიშეს ფედერალისტებმა ჯარი, მარა ვერას გახდენ. მათი ნაბიჯი სასტიკათ დაგმო რევოლიუციონურმა ჯარმა.

ბნელი ძალები ირაზმებიან, მარა ახსოვდეთ, რომ ასეთი კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი მათი აღსასრულის დღეთ გადაიქცევა.

* *

ფედერალისტებს გვერდში ამოუდგა „საქართველოელთა" ბანაკიც. დღე არ გაივლის, რომ თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ არ გაილაშქრონ და ყოვლათ უმსგავსო ბრალდება არ წამოისროლონ. „საქართველო" ეხება ამიერ კავკასიის კომიტეტთა ყრილობას და სწერს:

„ვინ დაავალა თფილისის აღმასრულებელ კომიტეტს ასეთი ყრილობის მოწვევა, არავინ უწყის. იმ კომიტეტში, რომელიც ახლა თავის ბატონობის განმტკიცებას სცდილობს არა მარტო მთელ გუბერნიაში, არამედ სრულიად ამიერ კავკასიაში, წარმომადგენილია მხოლოდ სოციალდემოკრატები და სომხის შოვინისტები".

ასეთი ტყუილებით უმასპინძლდება ნაციონალ-დემოკრატთა ორგანო თავის მკითხველებს. ყრილობის მოწვევა ერთხმათ გადაწყდა აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც ქართველი ნაციონალისტებიც დაესწრენ. დღეს გამომდგარან ეს ვაჟბატონები და თავის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ. ასეთი ხალხი რასაკვირველია სოციალ-დემოკრატებს და „სომხის შოვინისტებს" არ დაინდობდა, ეს თავაშვებული დემაგოგები აცხადებენ:

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი და მოქალაქეების წარმომადგენელნი... შესაფერ პასუხს გასცემენ იმათ, ვინც სცდილობს ქართველს ერზე ამ უპასუხისმგებლო ჯგუფის ბატონობის დამყარებას".

აღმასრულებელი კომიტეტი შეთანხმების ნიადაგზე მოეწყო. აქ არავითარ ბატონობას ადგილი არ აქვს. მარა ამას რათ დაგიდევენ უმსგავსო დემაგოგები, რომელთაც ქართველ ხალხთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი ხედავენ, რომ მათ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება და ამიტომაც არაფერს ერიდებიან, რომ რევოლიუციონურ ბანაკში არევ-დარევა შეიტანონ, მარა ამაოთ, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები საქმეს უთუოთ გაცნობილი არიან და ამიტომაც იმედი გვაქვს, საკმაოთ დაესწრებიან ამიერ-კავკასიის კომიტეტთა ყრილობას, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა გამოსვლას შესაფერი პასუხი გასცენ.

## დეპეშები.

### გლეხების რწმუნებული როძიანკოსთან.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. ნოვგოროდის გუბერნიის და სტარო რუსის მაზრის გლეხთა სამი საზოგადოების რწმუნებულნი მისულან სახ. დუმის თავმჯდომარე როძიანკოსთან და პურ-მარილისა და ფულის მიცემის დროს შემდეგი უთქვამთ: გლეხის წმინდა გულით მოძღვნილი მცირედი საჩუქარი. თავისუფლებისათვის მებრძოლთ—გულითადი მადლობა. გქონდეთ ჩვენი იმედი, გარეშე და შინაგან მტრებთან ბრძოლაში გამხნევდით. ჩვენ გლეხები თქვენ არაფერში არ გეტყვით უარს. ისე, როგორც ოდესღაც მინინს, შემოგწირავთ უკანასკნელ გროშს და ძალღონეს, რომ თქვენგან გაკვალული კეთილი გზა ბრწყინვალე მომავალით გავანათოთ.

### ქალთა უფლება.

ახლო მომავალში გამოქვეყნდება აქტი, რომლის ძალითაც ქალებს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლებები მიეცემათ.

### განთავისუფლება.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. ომსკის გუბერნატორი—კოლობოვი, ვიცე-გუბერნატორი კნიაზევი და სასამართლო პალატის თავმჯდომარე ედლიჩკო, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ, იუსტიციის მინისტრის განკარგულებით გაანთავისუფლეს.

### მისალმების დეპეშები.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. სახ. დუმის თავმჯდომარემ და აღმასრულებელმა კომიტეტმა 14,000 მისალმების დეპეშები მიიღეს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, ნაციონალურ ჯგუფებისა, მუშათა, ჯარისკაცთა და ოფიცრებისაგან.

— სახ. დუმის თავმჯდომარე როძიანკომ მიიღო აგრეთვე მისალმების დეპეშები მოკავშირე ნეიტრალურ ქვეყნების სხვა და სხვა ორგანიზაციებისაგან და მათ რიცხვში ინგლისის, უელსის, „დიდი აღმოსავლეთის" და საფრანგეთის ლიბერალურ ასსოციაციათა ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტებისაგან. მისალმების დეპეშები მიიღო აგრეთვე ჩეხიის სოციალისტებისაგან, პარიზისა და ლიონის პოლიტიკური ემიგრანტებისაგან შეერთებული შტატებისაგან და არგენტინის რესპუბლიკისაგან.

### სემიონოვის პოლკი სახ. დუმაში.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. სემიონოვის პოლკის ლეიბ-გვარდიის სათადარიგო ბატალიონი მთელი თავისი სამხედრო მორთულობით და მუსიკით სახელმწიფო დუმაში მივიდა. ბატალიონს წინამძღოლობას უწევდა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კაზიმოვი, პოლკს წინ მიუძღოდა დროშა შემდეგი წარწერით: „თავისუფალნი სემიონოვცები". პოლკის ცალკე ნაწილებს ხელში ეჭირათ დროშები წარწერით: „თავისუფლების შენარჩუნება"; „ვილგელმზე გამარჯვება"; „ომი ბრწყინვალე გამარჯვებამდე"; „გაუმარჯოს თავისუფლებას" და „გაუმარჯოს რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობას". ეკატერინას დარბაზში სემიონოვის პოლკს პირველათ სიტყვით დეპ. ჩხეიძემ მიმართა. ჩხეიძემ განუმარტა მათ მნიშვნელობა იმ მოწოდებისა, რომლითაც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს და კერძოთ კი გერმანიის პროლეტარიატს. ჩვენ, განაცხადა ჩხეიძემ, წინადადება მივეცით გერმანიის ხალხს გააკეთოს ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ე. ი. მანაც უნდა დაამხოს ძველი რეჟიმი, რომელსაც ასულდგმულებს ვილგელმი. მამამდე სანამ ისინი ასე არ მოიქცევიან, ჩვენი ხიშტებიც გერმანიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. თქვენ „სემიონოვცებო" დაამტკიცეთ, რომ მედგრათ დაიცავთ მოპოვებულ თავისუფლებას და ლომივით ეკვეთებით ყველას როგორც ფრონტზე, ისე შიგნით, ვინც კი მოინდომებს მოპოვებული თავისუფლების ხელიდან გამოგლეჯას. იყავით ყოველ წუთს მზათ. გაუმარჯოს ჯარს, სადაც არის დაცული დისციპლინა ჯარისკაცთა და აფიცერთა ერთი-ერთმანეთისადმი პატივისცემაზე დამყარებული, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას—დააბოლავა ამ სიტყვებით ჩხეიძემ. პოლკი აღფრთოვანებულ ტაშისცემით მიეგება ამ სიტყვებს.

ნაზიმოვმა შემდეგი წარმოსთქვა: პოლკი მოვიდა, რომ სალამი უძღვნას სახ. დუმას, რომელმაც დაამხო ძველი და დახავსებული რეჟიმი. ამ პოლკს სურს აჩვენოს სახ. დუმას, რომ ის შეკავშირებულია და შეუძლია დაიცვას რუსეთის თავისუფლება, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან. პოლკოვნიკის სიტყვებს „ურას" ძახილით შეხვდენ. სემიონოვის პოლკს სახ. დუმის დელეგაცია, ოცი კაცისაგან შემდგარი, როძიანკოს მეთაურობით გამოეგება. როძიანკომ შემდეგი სიტყვებით მიმართა: მადლობას გიძღვნით თქვენ, რომ მოდით, რათა გვაჩვენოთ თქვენი ძალა და სურვილი თავგანწირვისა, თუ კი ამას მოითხოვს თქვენგან სამშობლოს ინტერესები. როძიანკოს სიტყვამ, რომელშიაც მან ჯარს გერმანელებთან ბრძოლა მოუწოდა—ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დეპ. ჩხეიძემ მოუწოდა ჯარისკაცებს—შეეკითხებოდენ როძიანკოს, თუ რას ფიქრობს ის დამფუძნებელი კრების მოწვევის, დემოკრატიული რესპუბლიკის და უმთავრესად—მიწის შესახებ. დეპუტატის სიტყვების შესახებ ერთმა ჯარისკაცმა ბევრი ილაპარაკა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ შეიძლება ვერწმუნოთ არც როძიანკოს და არც დუმას. ამის საპასუხოთ როძიანკომ შემდეგი განაცხადა: პირადათ მე და აგრეთვე სახელმწიფო დუმამაც ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ დამფუძნებელი კრება მალე იქნეს მოწვეული. ჩვენ ამ მხრით ყველას მოქმედებას ხელს შეუწყობთ. სწორეთ დამფუძნებელი კრება იქნება გამომხატველი ხალხის ნამდვილი სურვილისა და ის დაადგენს, თუ ვის ხელში უნდა გადმოვიდეს რუსეთის მართვა-გამგეობის ბედი. ჩვენც სწორეთ დამფუძნებელი კრების მიერ შემოღებულ მართვა-გამგეობის წესს დავემორჩილებით. რაც შეეხება მიწის საკითხს, მე სახ. დუმის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ თუ დამფუძნებელი კრება დაადგენს მიწები მთელ ხალხს გადაეცეს, ჩვენც ამას დავემორჩილებით. არ დაუჯეროთ მათ, ვინც გეუბნებათ, რომ თითქოს მე და სახ. დუმაც ხალხის ბედნიერებას ხელს შეუშლით. პირიქით, ჩვენს მოქმედებას ხალხის სურვილს შევუთანხმებთ. დამსწრე საზოგადოებაზე ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როძიანკო ხელში აიყვანეს და მთელი დარბაზი „ურას" ძახილით გაატყვრეს. მუსიკა მარსელიოზას უკრავდა, შემდეგ გამოჩნდა მესამე მსროლელი პოლკი პოლკოვნიკ სემიონოვის მეთაურობით, რომელსაც მოჰქონდა დროშები შემდეგი წარწერით: „ომი სრულ გამარჯვებამდე; ამხანაგებო! ამზადეთ იარაღები! თავისუფლებისათვის თავს დავსდებთ! გაუმარჯოს განთავისუფლებულ რუსეთს"-ო. პოლკს გრძნობიერი სიტყვებით შეეგებენ დეპ. ჩხეიძე და სკობელევი. მათ მოუწოდეს ჯარისკაცებს ორგანიზაციისა და დისციპლინის შესაქმნელათ, რომ ისინი დაემორჩილონ მხოლოდ იმ პირთ, ვისაც იცნობენ. ამ პოლკისადმი ბრწყინვალე მისალმების დროს შემდეგი არასასურველი ინციდენტი მოხდა: პოლკს სრულიად მოულოდნელათ, სიტყვით მიმართა უცნობმა ქალმა და თავისი ისტერიული სიტყვა შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა: „ძირს ომი". ამ სიტყვებმა ჯარისკაცთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაისმა ხმები: „ძირს ორატორი მოგვეცით და ხიშტზე ავაგებთ"-ო. აღელვებულ ჯარისკაცებს დასამშვიდებელი სიტყვით მიმართა მათივე უფროსმა და მოუწოდა არ დაუჯერონ მათ უცნობ ორატორებს და დამშვიდდენ. ჯარისკაცებმა ხელში აიყვანეს უფროსი და „ურას" ძახილი გააცილეს ჯარის ერთი ნაწილი დედაკაცს შემოესია გარშემო და შემდეგ მოითხოვა, რომ ის დაეპატიმრებიათ და გამოერკვიათ მისი პიროვნება, რაც მაშინვე სისრულეში მოიყვანეს.

### სტოლიპინის ძეგლის დანგრევა.

კიევის აღმასრულებელ კომიტეტს და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გაერთიანებულ კრებაზე დაადგინეს სტოლიპინის ძეგლი, რომელიც ქალაქის გამგეობის შენობის წინ სდგას დაანგრიონ.

### დატუსაღება.

დაატუსაღეს პეტროგრადის სათადარიგო, საგვარდიო ჯარის უფროსი გენერალი ჩებიკინი. ამას საეჭვო საბუთები აღმოაჩნდა, რომლის ძალითაც დაატუსაღეს აგრეთვე დიდი კნეინა მარიამ პავლეს ასულის მცველი კოტელნიკოვი.

### დროებითი მთავრობის დადგენილება.

დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელ კრების საერთო გადაწყვეტილებამდის შემდეგი დაადგინა: 1) ყველა საუფლისწულო მამულები, მთელი კაპიტალი და ქონება სახელმწიფოს საკუთრებათ გადაიქცეს; 2) მთელი აქედან შემოსავალი სახელმწიფოს შემოსავლათ ჩაითვალოს; 3) საჯარო საქმის წარმოება და ქონების მოვლა დაეკისრება განსაკუთრებულ გამგეობას, რომელსაც დროებითი მთავრობა დანიშნავს.

### დეზერტირთა შუამდგომლობა.

დეზერტირთა ერთმა ჯგუფმა, სამხედრო კომისიას თხოვნით მიმართა, რათა დასახელებულმა კომისიამ მათი მდგომარეობა მოაწესრიგოს და მათ საშუალება მიეცეთ ფრონტზე დაბრუნდენ. დეზერტირები თავიანთ შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ წინათ არ უნდოდათ რომანოვების დინასტიის დაცვა, ხოლო ახლა, როცა რუსეთი განახლდა—ისინი მოვალეთ სთვლიან სამშობლოს თავდაცვისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდის იბრძოლონ.

### საზღვაო-სამხედრო უწყება.

რუსეთის საზღვაო-სამხედრო უწყებაში მოსამსახურეთ 16 მარტს ყრილობა მოახდინეს და ფიცი დასდეს ახალ რევოლიუციონურ მთავრობას ერთგულათ ემსახურნენ. მათ აგრეთვე ფიცი დასდეს, რომ ისინი ომის წარმოებას ყოველნაირათ ხელს შეუწყობენ და მტრის დამარცხებას დააჩქარებს.

### რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს სამარხმა კომისია საქვეყნოთ აცხადებს, რომ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება 23 მარტისათვის გადაიდო.

### მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს ბიურო.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს დიდძალი სამუშაო გაუჩნდა და იგი ვეღარ ასდის ყველას დაწვრილებით განხილვას. ამისათვის მათ გადაწყვიტეს აღმასრულებელ კომიტეტიდან გამოყონ განსაკუთრებული ბიურო ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც ყველა საქმეებს წინასწარ გადასინჯავს და შემდეგ საბჭოს მოხსენებას გაუკეთებს.

### დ ა ნ ი შ ვ ნ ა.

პოლონეთის სამეფოს საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეთ ინიშნება ალექსანდრე ლედნიცკი.

### ქონების დატაცება.

**უსტიუჟინა.** 15 მარტი. საეროზო უფროსის—სტრომილოვის ქონება გაანადგურეს გლეხებმა. საქმის გამოსაძიებლათ წავიდა სამაზრო კომისარი.

### გამარჯვების ფონდი.

პოლტავაში, 12 მარტს, მოხდა გამარჯვების ფონდის გასაძლიერებლათ ფულის შეგროვება. შემოვიდა 80,000 მანეთი.

**მადრიდი.** 15 მარტი. დღეს, საღამოს შესდგა მიტინგი, სადაც მუშათა პარტიამ გადასწყვიტა გაფიცვები გამოაცხადოს, ვინაიდან მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს სასურსათო საკითხის მოსაგვარებლათ. მუშებმა გადასწყვიტეს რუსეთის რევოლიუციონერებს მიესალმონ და უსურვონ, რომ ამ მოკლე ხანში ისინიც მიესალმონ ავსტრია-გერმანიის რევოლიუციონერებს.

**იასი.** 14 მარტი. დღეს, შუადღიზე რუსეთის ჯარმა შეფიცა ახალ მთავრობას.

### შავი ზღვის ფლოტის დელეგატები.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. შავი ზღვის ფლოტის და სევასტოპოლის გარნიზონის დელეგატები რიცხვით 32—მოვიდა მარინეს სასახლეში, სადაც სხდომა ჰქონდა დროებით მთავრობას. დელეგატების მოსვლისას სხდომა შესწყვიტეს და მიიღეს დიდ დარბაზში. დელეგატებმა პრაპორშჩიკმა შიროკიმ და ჯარისკაცმა ხორხოვიჩმა მიესალმენ დროებითი მთავრობას. უკანასკნელმა სხვათა შორის სთქვა: „ბ-ნო დროებითი მთავრობის თავმჯ. მე წარმომადგენელი ვარ 40,000 ჯარისკაცის, მეზღვაურების და მუშების გიცხადებთ რა ნდობას ვამბობთ, რომ ჩვენ არ დავყრით იარაღს, სანამ გარეშე მტერს არ დავამარცხებთ და არ განვამტკიცებთ მოპოვებულ თავისუფლებასო". მათ უპასუხა დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ. დელეგატები 16 მარტს მიესალმებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

## ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 16 მარტი. სტანისლავოვის ჩრდილოეთით მდ. იამნიცის რაიონში, არტილერიის მოქმედების შემდეგ მტერმა მოიტანა იერიში, მაგრამ ჩვენი ჯარი მარჯვეთ დახვდა და ისევ უკან გააბრუნა. 14 მარტს ღამით ბრზეჟანის აღმოსავლეთით ჩვენ ავაფეთქეთ დიდი გორა. აფეთქების შემდეგ ჩვენი ჯარის ნაწილი შეიჭრა მტრის სანგრებში, ხელთ იგდეს 21 გერმანელი და დაბრუნდენ უკან.

**რუმინიის ფრონტი.** ჩვენ კონტრ-იერიშები მივიტანეთ მტერზე წინადღით წართმეულ პოზიციების დასაბრუნებლათ, მაგრამ ამაოთ. მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ფრონტი.** ბითლისის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს ტახტალიზე, დახოცეს მცველები და ისევ უკან დაბრუნდენ. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**პარიზი.** 15 მარტი. ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ და ხელთ ვიგდეთ მტრის ზოგიერთი ადგილები. რეიმსის რაიონში ჩვენ მოულოდნელად მივიტანეთ იერიში და ხელთ-ვიგდეთ ტყვეები. შამპანში გუშინ არტილერია გაცხარებით მოქმედებდა.

**რომი.** 15 მარტი ზოგიერთ ადგილებში მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ ყველგან უკუვაგდეთ.

**პარიზი.** ღამით 13 მარტს გერმანელების ნალმოსანმა 16-ჯერ ესროლა ქ. დიუნკერკს შემდეგ მიიმალა.

## ნიკოლოზ მეორის დაპატიმრების პირველი დღეები.

რამოდენიმე დღემ გაიარა მას შემდეგ, რაც ცარსკოე სელოში დაპატიმრებული ყოფილი მეფე იმყოფება, რომელსაც დარაჯი ყავს მიჩენილი. ამ ხნის განმავლობაში ნიკოლოზი რამდენჯერმე შესულა მისალებ ოთახებში და დაფარული სახის გამომეტყველებით შეუხვდავს დარაჯისთვის. ნიკოლოზ მეორეს და ყოფილ დედოფალს გაზეთების კითხვა აინტერესებთ, განსაკუთრებით უცხოეთის გაზეთების. ყოველგვარი კერძო მიწერ-მოწერას სინჯავენ სიფრთხილით და ამით თვალყურს ადევნებენ, რომ დატყვევებულმა მეფე-დედოფალმა რაიმე კავშირი არ გააბან ანტი-რევოლიუციონურ ძალებთან და აგრეთვე გარეშე მტერთან. მით უმეტეს, რომ, როგორც დარწმუნებით ამბობენ, დროებითი მთავრობას აქვს დოკუმენტები, საიდანაც მტკიცდება, რომ რომანოვებს სურდათ ისეთივე მოქმედება გაიმეორონ, როგორიც ჩაიდინა ლიუდოვიკ XVI-ემ რევოლიუციის კოალიციასთან ბრძოლის დროს. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ყოფილი მეფის ამალასაგან ბევრი პირები დააპატიმრეს, ისეთები, რომელთაც ასეთი განზრახვა ქონდათ გულში. ფრეილინა ვასილჩიკოვას ამბავმა დაამტკიცა, თუ როგორ ანგარიშს უწევდა გარეშე მტერი სასახლის ტენდენციას, რომელსაც სურდა სეპარატიული ზავის ჩამოგდება და მონარქიული მართვა-გამგეობის აღდგენა. გამოირკვევა, რომ სადგომში ყოფნის დროს მარიამ თეოდორეს ასული დაჟინებით მოითხოვდა ნიკოლოზ მეორის არა ლონდონში დაბინავებას, სადაც რომანოვები თავისუფლათ ვერ იგრძნობენ თავს, არამედ დანიაში გაგზავნას, სადაც ალექსანდრე მესამესაც უყვარდა ყოფნა. ასეთი კომბინაცია, რომ განხორციელებულიყო და ყოფილი მეფე დანიაში გაესტუმრებიათ, მაშინ ადვილათ შეძლებდენ ბერლინიდან კომისარები დანიაში როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოში მოსვლას და ეს კი დიდი საშიშროება და საფრთხე იქნებოდა ახლად განთავისუფლებული რუსეთისთვის. სეპარატიული ზავის ჩამოგდებას ყველაზე უფრო დედოფალი ცდილობდა და ამ საქმეში ყველაზე დიდ როლს ის თამაშობდა დროებითი მთავრობას სერიოზული დოკუმენტები მოეპოვება, სადაც ნათლათ გამოსჩანს დედოფლის ასეთი განზრახვანი და მისწრაფებანი- ამიტომაცაა, რომ დროებითი მთავრობის ერთმა წევრმა სამართლიანათ აღნიშნა, რომ ჩვენი ვალია რუსეთი გადავარჩინოთ იმ შხამიან გველის კბენას, რომლის ბუდეც უკვე დანგრეულია.

დაპატიმრებული ნიკოლოზი უმეტეს დროს წერილების წერაში ატარებს. დედოფალი შეწუხებულათ გრძნობს თავს, ვინაიდან არ იცის შეუძლია თუ არა ყველაფრის წერა ამის შესახებ ახსნა-განმარტება ხშირათ არის ხოლმე საჭირო სასახლის კომენდატისაგან. რადგანაც ინსტრუქციაში ამის შესახებ გარკვევით არაფერია ნათქვამი, დედოფალიც იძულებულია ყოველივე დაწერილი გასასინჯავათ წარუდგინოს. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ მეორესთან ახლოს მდგომნი და გავლენიანი პირები დაპატიმრებულ მეფე-დედოფალს სრულიად გულგრილათ უყურებენ და არავითარ შეცოდებას არ იჩენენ.

ამბობენ, რომ ნიკოლოზს ერთხელაც არ მოუსურვებია გაეგო თუ რა ხდება და როგორი მდგომარეობაა ფრონტზე. მას აინტერესებს მხოლოდ დაახლოებულ და საყვარელ პირთა ბედი და მათ შესახებ კითხულობს ხოლმე. დანარჩენი კი მას არ აინტერესებს. სახის გამომეტყველება ნიკოლოზ მეორეს მუდამ მოღუშული აქვს. დაპატიმრების დღეს ის არავის არ უნახავს, გარდა პავლე ალექსანდრეს ძისა, რომელიც წინათაც დადიოდა ცარსკოე სელოში. ყოველივე დამოკიდებულება და კავშირის დაჭერა მეფესთან ხდება მხოლოდ მიწერ-მოწერის საშუალებით და ესეც დარა-

ჯის მეოხებით, რომელიც ყველაფერს აცნობებს ხოლმე სასახლის კომენდანტს.

ნიკოლოზის მომავალი მდგომარეობის შესახებ ჯერ არავითარი გადაჭრილი დადგენილება არაა გამოტანილი. დღეს სიჩქარით სწარმოებს ყველა იმ დოკუმენტების გარჩევა, რომელნიც ყოფილი მეფის დაპატიმრების დროს სასახლიდან გამოიტანეს.

# ახალი ამბები

**კონფერენცია.** თფილისის კოლექტივი ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირისა 26 მარტს თფილისში იწვევს კონფერენციას. ვსთხოვთ ამხანაგებს ამ დღისათვის ჩამოვიდნენ აქ.

**✦ სახალხო განათლების სარბიელზე მოღვაწეთა საყურადღებოთ!** შაბათს, 18 მარტს საღამოს 7 საათზე, რეალურ სასწავლებლის შენობაში ქ. თფილისში არსებულ ყველა ტიპის და საფეხურის (დაბალ, საშუალო და უმაღლესი) სასწავლებელთა მასწავლებლებისა და კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების მათ რიცხვში მშობელთა წრის მე 2 საზოგადო კრებაა.

**✦ განცხადება.** თფილისის ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე კომისიის თავჯდომარე ათაბეგოვი აცხადებს: კომისიამ საჭიროდ დაინახა, რომ ამ კომისიაში მონაწილეობა მიიღოს ჯარისკაცთა ოჯახების წარმომადგენელმა ქალებმა, ამ რწმუნებულების ასარჩევათ დანიშნულია 19 მარტი კვირა სხვადასხვა ადგილას. პირველ უბანის სერგიევის ქ. № 4 12 ს. მეორე უბანში იქვე 2 საათზე, მესამე უბანში იქვე 5 ს. მეოთხე უბანში—სურპსარქისის ქ. № 54 2 ს. მეხუთე უბანში იქვე 11 ს. დილით. მე 6—7—8 უბნების—მარტყოფის ქ. № 7, 11 ს. მეცხრე—სერგიევის ქ. № 4 10 ს. დილით. მეათე—ბორჟომის ქ. მიხაილოვის სკოლაში 11 ს. დილით. მეთერთმეტე უბნის—ბოტის სახლი, ჩერქეზოვის ქ. 11 ს. და მე-12 უბნის თაიროვის სკოლაში გლდანის ტუპ. 11 ს. დილით.

**✦ დურგალთა, კალატოზთა და მხატვართა** კრება დანიშნულია 19 მარტს, კვირას, დილის 9 საათზე, სახელოსნო კლუბში დეპუტატების ასარჩევათ მუშათა საბჭოში.

**✦ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორებისა** და სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი შესდგება კვირას 19 მარტს დილის 11 საათზე ამიერ-კავკასიის კავშირის სადგომში კრილოვის ქ. № 10.

**✦ ს. დ. პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიურო.** 18 მარტიდან ლეგალურ მოქმედებას იწყებს ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიურო. ბიურო მოთავსებულია სასახლეში: მუშათა დეპუტატების საბჭოს გვერდით. ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

**✦ კრება.** ხვალ, 19 მარტს, ნაშუადღევის 3 საათიდან, „ნადიროვკაში" სამოვოლნი ქუჩაზე, წყალთან მოხდება მთელი უბნის მცხოვრებთა კრება. ასარჩევია ბიურო ადგილობრივ საჭიროებათა გასაძღოლად.

**✦ თავშესაფარი.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ 3.000 მანეთი გადასდვა თავშესაფარის მოსაწყობად აბუისლონში (ლაზისტანში).

**✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა შეეკითხა სოხუმის განყოფილებას შეატყობინოს მას, როგორ დამთავრდა წინანდელი მთავრობის გადაწყვეტილება შესახებ 10.000 ლაზების გადაწყვეტილებისა სოხუმიდან.

**✦ დეპუტატ ჩხეიძეს** შეეკითხენ თბილისიდან, თუ რა მდგომარეობაშია დასჯილ ქართველ მაჰმადიანთა საქმე.

**✦ კომისარიანტი** ახალი მთავრობისა, რომელსაც გუშინ საღამოს მოელოდენ თფილისში, სასახლეში გაჩერდება და იქ ექნება ბინა და კანცელარია.

**✦ ჯულფიდან** სთხოვენ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ საჭიროა მახლობელი ადგილიდან ერთი როტა ჯარისკაცები გამოგზავნოთ, რომელიც ხელს შეუშლის დეზერტირების გადმოსვლასო.

**✦ ლაზარეთში № 40** 17 მარტს იმყოფებოდა შავი სახადიანი 607 კაცი.

**✦ ახალ მუშათა ს.-დ. გაზეთის** „კავკასკი რაბოჩი"-ს გამოცემა გადავიდა კანტორა „განათლები"-ს ხელში. აგენტებს შეუძლიათ დაიკვეთონ გაზეთი კანტორიდან.

**✦ ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კრება.** დღეს შაბათს შუადღის 1 საათზე ნაფიც ვექილთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კრება.

**✦ ნავთლუღი.** პარასკევს, 17 მარტს დილით ნავთლუღის სადგურის ახლოს რკინის გზ. ლიანდაგის ხიდის ქვეშ, იპოვნეს ახალი მკვდარი ადამიანის გვამი. ასო-ასოთ აჭრილი და კარზინკაში ჩაწყობილი. მიცვალებულს თავი არ აღმოაჩნდა. საჭიროა არის ზომების მიღება და საქმის გამოკვლევა. მით უმეტეს დღევანდელ მომენტში. შეიძლება ვინმე ამხანაგთაგანი არის მიცვალებული და შავი ძალებისაგან არის ეს მკვლელობა ჩადენილი.

**✦ თფილისის ყოველი ტიპისა და უწყების სასწავლებლების მასწავლებელნი** მოწოდებულნი არიან 18 მარტს, შაბათ საღამოს 7 ნახ. საათზე, თფილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში, მომენტის გამო მოსალაპარაკებლად. კრების საგანია: ახალი მთავრობისადმი მისალმება. სრულიად საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის პროექტი. თფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია.

**✦ დამუქრება.** როგორც გვატყობინებენ იაკობ ჩადუნელი სოფ. ჩომიდან (გორის მაზ.) ბრუნდებოდა სახლში. გზაში მას დაწევია ირაკლი ზაალიშვილი, კ. ჩადუნელი და გიორგი ჩადუნელი და დაუპირებიათ მისი მოკვლა, მაგრამ იაკობი როგორღაც გაძვრენია ხელიდან. ეხლა მას ემუქრებიან. საჭიროა ამას ადგილობრივმა ძალებმა ყურადღება მიაქციონ.

## დეპეშები.

(საკ. კორესპონდენტ.).

**ქუთაისი.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში განცხადება შემოიტანა ადგილობრივ გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტმა პროტესტის სახით ფედერალისტების მოქმედების წინააღმდეგ, რომლებსაც გადაუწყვეტიათ ჯარები ნაციონალურ ჯგუფებათ დაჰყონ. მხედრობის დეპუტატების აზრით ასეთი მოვლენა რევოლიუციის ძალებს დაქსაქსავს და კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს უმზადებს. ამათ პროტესტს მხარი დაუჭირა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის უმრავლესობამ და ჯარისკაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმაც ამის შესაფერისი ბრძანება გამოსცა გარნიზონის საყურადღებოთ. დელეგატებათ არჩეულნი არიან ევგენი გეგეჭკორი და ქალაქის თავი ჩიქოვანი. **გრიშა.**

## პროვინციის ქრონიკა.

**ქუთაისი.** პარასკევს მუშათა დეპუტატების საბჭომ დააპატიმრა ადგ. სასწ. ზედამხედველი ცნობილი შავრაზმელი ხოლმსკი, მას გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სამი ბერდანის სისტემის თოფი,—ხოლმსკი საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

— ადგ. მუშათა დეპუტატების საბჭომ განცხადება გამოსცა, რომლითაც აკრძალულია ადგ. რესტორანებში მაგარი სასმელების გაყიდვა.

— მუშათა დეპუტატების საბჭომ დააპატიმრა ადგ. მაძებარი პოლიციის უფროსი ერისთავი, მიღებულია ზომები სხვა ჯაშუშების დასაპატიმრებლად.

— აღსანიშნავია, რომ თავისუფლებით ზოგი ბოროტათ სარგებლობს; გახშირდა ჯიბგირების „საქმიანობა", აგრეთვე მოწაფეთა ნაწილი გალეშილი დაძრწის ქუჩებში, მიღებულია მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მუშათა დეპუტატების საბჭოს მიერ. ვაფრთხილებთ ბნელ ძალებს ერიდონ ძარცვა-გლეჯას თორემ ხალხის მსჯავრს ვერსად დაემალებიან.

## მოწოდება.*)

ოჯახებში მომუშავეთა შორის პროფესიონალური კავშირების მომწყობი კომიტეტი, რომელიც თვით ამ დარგის მომუშავეთა დაქირებული მოთხოვნით 15 ამ თვეს, იქნა შედგენილი **მოუწოდებს ყველას: 1) მზარეულებსა, 2) მრეცხავებსა, 3) ხელზე მოსამსახურეებს, 4) გადიებსა და 5) კარის კაცებს** (შვეიცრებს) **მათთვის დანიშნულს მიტინგს უკლებლივ დაესწრონ ნაძალადევში** (სადაც

*) ვთხოვ ყველა ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება. **დ. ხ.**

## სიტყვა ოქროცილებზე! *)

თასი აილე!... დასაწყისია
ჩვენის ცხოვრების ნანატრი ხანის,
ახლის შობისა, ძველის სიკვდილის,
დასაფლავების და განშორების.
აზრი მომართე! სიტყვა უნდა ვსთქვათ...
გახსოვს ისინი—დაკარგულები?
ქარიშხალს გაყვენ, ფრთა მედგარ გრიგალს,
ტყვიებს ეძგერენ გმირთა გულები.
ზოგი შორსა გვყავს... ბედითსა ჟამსა
ვეღარ გაექცენ მაცდურ მტრის მახეს.
ხომ გახსოვს ისევ, ხომ თან ატარებ
არჩილის ხსოვნას, არჩილის სახეს...
ციხე დუმს... მტკვარი ნელი დუდუნით
მას ნანას უმღერს სიზმრებით აღვსილს
და ჭმუნვის ხმებში თითქოს იგონებს
კეცხოველს მძლეს და ნემეზიდაშვილს.
დუდუნებს მტკვარი... ჭმუნვარების ხმა
შთამომავლობას გადაეცემა,
ცოცხალ სურათათ დაეხატება
უებარ გმირთა ტანჯვა და გვემა.
ქარი ჰქუხს... ქარი აწვება საკანს,
ამბავს გვიყვება მწარე მოთქმითა...
ხომ წინ გიდგება გმინვა გრიალში
მინდიაშვილი მჭექარე ხმითა. .
აღარ ცოცხლობენ!... უმტყუნეს ბედმა
მრავალთა სხვათა, მტრის რაზმის მძლეველთ,
სასოება მათ და განსვენება
დიდუბის გმირთ და ნაძალადეველთ!
აილე თასი!.. ზარებს რეკავენ,
თითქოს მოისმის ხარხარი მტრისა...
ქარი ზუზუნებს, ქარი გაჰკივის
და სმენას სწამლავს დუდუნი მტკვრისა.

**იასამანი.**

5 მარტს საერთო მიტინგი იქნა გამართული) **კვირას, 19-ს მარტს დღის 4-ს საათზე.** მიტინგზე ყველა ეროვნების მომუშავენი ქალი და კაცი უნდა დაესწროს.

მიტინგზე იქნება გამოტანილი რეზოლიუციები:

**1) რევოლიუციონური მთავრობისათვის მხარის დაჭერა;**

**2) თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლების არჩევა;**

**3) პროფესიონალური კავშირების შედგენა და პროფესიის მიხედვით საორგანიზაციო კომიტეტების არჩევა**

**და 4) საერთო რეგისტრაცია ოჯახებში მომუშავეთა, პროფესიის მიხედვით.**

ამიტომ კომიტეტის მონდობილობით უმორჩილესად ვთხოვ, როგორც მათ „ხაზეინებს" აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქეთ ხელი არ შეუშალონ მათ და დაგვეხმარნენ უკლებლად მათს მიტინგზე დასწრებაში;

ხოლო თვით მომუშავეთ ვთხოვ ხელობის მიხედვით დაიჭირონ ადგილი მიტინგზე, რომ თვითოეულმა პროფესიამ ადვილად აირჩიოს ორგანიზაციული კომიტეტი.

პატივისცემით კომიტეტისა და მიტინგის ხელმძღვანელი **დავით ხართიშვილი.**

*) უნდა დაბეჭდილიყო 4 იანვრის ნომერში ჩვენი გაზეთისა, მაგრამ ცენზურის მიერ ამოღებულ იქნა.

# რევოლიუცია სოფლად.

**ქედა.** (ქვედა აჭარა). პარასკევს 10 მარტს აქ დაბრუნდა ბათუმიდან, ამხანაგი ნიკიფორე კერკენა. მას მრავალრიცხოვანი ხალხი დახვდა. მან მათ მიმართა სიტყვით.

ნიკიფორეს შემდეგ, თვით ძველი მთავრობის ბელადმა, უბნის უფროსმა, ილაპარაკა. ფრიად შესანიშნავი დარიგება მისცა ხალხს, რომ თავი დაიჭირონ და არაფერი უწესოება ჩაიდინონ.—ნუ ფიქრობთო—უთხრა მან, რომ დღეს მთავრობა არაა და თქვენ თავს ნებას მისცემთ ისეთი უწესოება ჩაიდინოთ, რომელიც ახალი მთავრობის წინაშე დიდ დანაშაულათ დაგეთვლებოდათო. უწინდელ დროში ფულით შეგეძლოთ თქვენი თავის გამოსყიდვა და დღეს კი ესეც აღარ შეიძლებაო. მან ძველი მთავრობის უვარგისობა ხელი გულზე დაგვანახვა, და ისე გულახდილათ აღიარა ყოველი ნაკლი, რომ თითქო ძველ ცოდვებს ინანიებს და ამით უნდა სულიერი ტანჯვის შემსუბუქებაო.

დასასრულ ვრცელი შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, მეჩეთში, ზუნდაგის სკოლის გამგემ ბ. სიმონ გოგიჩაიშვილმა.

გოგიჩაიშვილი თითქმის ორი წელია რაც აჭარაში მასწავლებლობს და საკმაოდაც შეისწავლა აჭარული ლაპარაკის კილო: ამიტომ მისმა ლაპარაკმა აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში და ყველამ თანაგრძნობა გამოუცხადა ახალ მთავრობას.

ხალხი უხმაუროთ ნაამები დაიშალა. ჩვენი ამხანაგი ნიკიფორე დაგვპირდა ახალციხემდი ასვლას და ახალ მთავრობის სასარგებლოთ ხალხში მოქმედებას. მან მაშინვე დაიქირავა ეტლი და გაემართა ხულოსაკენ, საიდანაც ახალციხესაც გადავა. **Kal—ia.**

**ახალციხე.** დღეს რუსეთში ხალხი განურჩევლათ ეროვნებისა და პოლიტიკური რწმენისა გამარჯვებას დღესასწაულობს. თავისუფლებამ თავის სხივები ჩვენ ქალაქსაც გადმოსტყორცნა. ახალციხეც ჩაება საერთო მხიარულების ფერხულში. 12 მარტს „ჯირითმოედანში" გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით. სიტყვების წარმოთქმამდი გადახდილ იქმნა პანაშვიდი იმ მსხვერპლთა მოსახსენებლათ, რომლებმაც დიად საქმეს—რუსეთის განთავისუფლებას თავი შესწირეს. პანაშვიდის შემდეგ გამოჩნდნენ ორატორები. ბევრი თავისუფალი სიტყვა იქნა თქმული მომენტის შესახებ: ქართულათ, სომხურათ, რუსულათ და თათრულათ. ყველაზე საყურადღებო და შინაარსიანი სიტყვები ეკუთვნით ნიდ. გარდავაძისას, ს. დანელიას და კ. ფალავანდიშვილს. პირველი შეეხო ქალთა საკითხს და წინადადება მოგვცა მოვითხოვოთ: „ერთი ნახევარი კაცობრიობის თუ განთავისუფლდა მონობისგან დღეს, მეორე ნახევარიც გათანასწორებული იქნეს უფლებებით და ეს თანასწორობა დაკანონებულიო". ბ. დანელიამ განმარტა თანამედროვე დაბალი, საშუალო და მაღალ სასწავლებლების სრული უვარგისობა; ლამაზ ფორმაში ჩამოსხმულ სიტყვებით გადაგვიშალა თვალწინ სახალხო მასწ. ღვაწლი და მისი უნუგეშო ბედი. ბ. ფალავანდიშვილი შეეხო და დაგმო საზოგადოთ ანტაგონიზმი, რომელიც სუფევს კავკასიის სხვადასხვა ერთა შორის და ხაზი გაუსვა სომეხ-თათართა განწყობილებას, რაც განსაკუთრებით ახლაა საყურადღებოვო. 5 საათზე ხალხი დაიშალა. **პანნა—ლი.**

**დაბა ჩხარის მიტინგი.** დადგა მომენტი და ყველგან იმართება მიტინგი. ჩვენც დაბა ჩხარის საზოგადოებამ გავმართეთ ორი მიტინგი, ერთი 10 მარტს და მეორე 12 მარტს. დიახ 12 გვეწვია ქუთაისიდან ბ. კოლია გეგეჭკორი საქადაგებლათ და თუ რანაირათ უნდა მოვიქცეთ დღევანდელ მომენტში და კარგათ აგვიხსნა.

შემდეგ ამოირჩიეს კომიტეტი: ბ. ჩხიკვიშვილი, გოგინაშვილი, კანანიანცი, შოთაძე, არაბიძე, თურქაძე და შემდეგ დადგა მღვდლებზე საქმე. ხალხმა ამოირჩიეს მღ. ი. ფანჩულიძე, მღ. ქაფამაჯიანცი, მეტის ამორჩევა არ უნდოდათ შემდეგ ბ. გეგეჭკორი შეეკითხა ხალხს იასონ აბესაძეს ირჩევთ თუ არაგო, ხალხმა ერთხმათ დაიძახა არ გვინდაო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ განუმეორა განდათ თუ არავო, მაშინაც ცივი უარი უთხრეს. **ლეუჩკა.**

**სოფ. ახალქალაქი** (გორის მაზრა). 12 მარტს ს. ახალქალაქში გაიმართა მიტინგი, სადაც დიდი ხალხი დაესწრო და აღფრთოვანებული მიეგება ამ ამბავს. მიტინგზე დაესწრო პ. გელეიშვილი დანიშნული თფილისის აღმასრულებელ კომიტეტიდან, რომელმაც აუხსნა ქვეყნის განთავისუფლების მიზეზი. მიტინგზე ილაპარაკეს ჯარის მხრივ სალდათებმა, აფიცრებმა და თვით უფროსმა გენერალმა. სხვათა შორის ადგილობრივმა მცხოვრებმა ელიზბარ ჯაჯანაშვილმა (ომალოს ფრონტზე ფერშალია) მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვით: ხალხო! მე აქამდის მეშინოდა ხმის ამოღება, ვფიქრობდი, ვაი თუ კლანჭი მომაყლოს ვინმე და სახრჩობელაზე დამკიდოსთ. დღეს კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ყველას რაღაც უხარიათ, უხარიათ და ყვირიან განვთავისუფლდით. ის უფროსებიც კი, რომლებიც წინააღმდეგები იყვნენ თავისუფლებისაკენ გვიწვევენ და გვეუბნებიან: დაემორჩილეთ ახალ მთავრობას, აიღეთ მაგალითი ჩვენგან, მხარი მხარს მიეცით, რომ მტერი არ გავახაროთ. მაშასადამე, მე რიღასი უნდა მეშინოდე? დედამიწის ზურგიც კი, როგორც დაკუტებული ბებერი მშობელი ქვეშიდან შემოგცინის და გეხვეწება „შვილო გავთავისუფლდი და ფეხზე დამაყენეო" დღეს აღდგომაა ჩემთვისო. დავფიქრდი და ვთქვი ჯერ დიდმარხვა არ გასულა და აღდგომა რისა არის მეთქი. რომ კარგად დავუკვირდი დავრწმუნდი, რომ სარწმუნოების აღდგომა ორ აპრილს არის მხოლოდ თავისუფლების აღდგომა, რომელიც 27 თებერვალს გაგვითენდა. მაშასადამე მეც თავისუფალი ვარ და შემიძლიან ყველაფერი თავისუფლად ვსთქვა. რა მოხდა ასეთი, რომ ორმა მეფემ უარი სთქვა ტახტზე, რამ დაატანათ ძალა და რამ აიძულათ ისინი? რამ და ხალხის სიმართლემ, ხალხის ძალამ. მაშინ, როდესაც ჩვენი შვილები და ძმები ბრძოლის ველზე მშივრები და ტიტვლები იბრძოდნენ, ისინი აქ ქურდბაცაცობდენ და ჯიბეებს იყსებდენ. მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარი იხოცებოდა ისინი ვაჭრობდენ და სამშობლოს ჰყიდიდენ. ეხლა საჭიროა შევერთდეთ და მივეშველნეთ იმ ჯგუფს, რომლებმაც თავი გამოიდეს სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ეხლა დრო არ არის სხვადასხვა დროშების აფრიალებისა, ეხლა მარტო გვმართებს ერთი სულით და გულით მივეშველნეთ ჩვენს შვილებს (იმის ჟურა) მივაწოდოთ საჭმელი, სასმელი და იარაღი, რომ მტერი გავდევნოთ, თორემ თუ მტერი შემოვიდა შეიძლება შინაურმა მტერმაც თავი ამოყოს და კლანჭები გაილესოს. შეერთდით, ერთად დაემორჩილეთ ახალ მთავრობას, წყნარათ და მშვიდათ მოაწესრიგეთ შინაგანი საქმეები, არ დაგვეწყდეთ უფროს უმცროსობაო. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, გაუმარჯოს ახალ მთავრობას, გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს ხალხს". შემდეგ ამოირჩიეს სამხედრო პირებიდან და ხალხიდან აღმასრულებელი კომიტეტი.

კრებამ დაადგინა, გაუგზავნოს მისალოცი დეპეშები ახალ მთავრობას, ჯარისკაცებს, და მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩხეიძეს და კერენსკის. **დამსწრე.**

**დ. ლანჩხუთი.** კვირას, 5 მარტს დ. ლანჩხუთში მოხდა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, დილით ადრე იწყო დენა საზოგადოებიდან ხალხმა, რომელსაც წინ მოუძღოდა წითელი დროშა სხვა და სხვა წარწერით მაგ., „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს დროებითი მთავრობას, გაუმარჯოს მომავალ დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს რესპუბლიკას და სხ. ყველა საზოგადოებებმა მოიყარეს თავი ბაზარში, მხოლოდ შემდეგ გაემართენ დროშებით და მარსელიოზას სიმღერით ს. ნათლიმცემლის ფართე მიდორზე, ძნელია იმის გამოხატვა, რა სიხარულსაც განიცდიდნენ სოფლის მცხოვრებნი. ყველას სახეზე ღიმი კრთოდა. 12 საათზე კრება გახსნა ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ფირცხალაიშვილმა, ეს კომიტეტი ამორჩეული იყო ადგილობრივ კულტურულ დაწესებულების წარმომადგენლებისაგან სანამ მიტინგი შესდგებოდა. თავმჯდომარემ მგრძნობიარე სიტყვით მიესალმა ხალხს. შემდეგ მიმართა ხალხს ამოერჩიათ პრეზიდიუმი. შემოდის სია, რომელშიაც დასახელებულია თავმჯდომარეთ გ. ტუსკია, ამხანაგად კ. ჟღენტი, მდივნათ კ. გიორგაძე. კრება წიას ერთხმათ ღებულობს. თავმჯდომარე სიტყვას ამბობს, მას გზა და გზა აჩერებენ ტაშის ცემით, შემდეგ სიტყვას ამბობს ქუთაისის მუშათა საბჭოს მიერ გამოგზავნილი ბ. შარაშიძე, (თავ. გ. ტუსკიაც ამ საბჭოდგან იყო გამოგზავნილი) აგრეთვე სიტყვას აძლევს გურიის ორგანიზაციების წარმომადგენელი გრ. კოპლატაძე, ტ. ორაგველიძე და ადგილობრივი ორატორები. ორატორები თავიანთ სიტყვებში იხსენიებდენ. კ. ჩხეიძეს, ეგ. ნინოშვილს, ნ. ჟორდანიას, და სხვა განსვენებულთ თუ ეხლანდელ მებრძოლთ. შემდეგ კრება შეუდგა პრაქტიკულ კითხვების გადაწყვეტ-გარჩევას უნდა შედგეს რაიონული კომიტეტი, რომელსაც დაექვემდებარება საზოგადოებების კომიტეტები, ხოლო პირველი-სამაზროს, სამაზროსაგუბერნიოს და ასე თავიდან ბოლომდის. დიდი კამათის შემდეგ ლანჩხუთის აღმასრულებელი კომიტეტი რჩება იმავე შემადგენლობით, როგორც იყო: ხოლო სარაიონო კომიტეტში ირჩევს სამ წარმომადგენელს, რომელიც ლანჩხუთში მოეწყობა, მხოლოდ საზოგადოება გზავნის [illegible] წარმომადგენელს, შემოვიდა [illegible] რეზოლიუციები, რომლებიც ხალხმა უცვლელად მიიღო. შემდეგ ადგენენ: მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს კარლო ჩხეიძეს პეტროგრადში, თფილისში ნ. ჟორდანიას. თავმჯდომარე ერთხმათ მადლობა გამოეცხადა. იქიდან ბაირაღებით და მარსელიოზით ხალხი გაემართა ეკლესიისაკენ, სადაც ასაფლავია წარსული რევოლიუციის გმირები ჩაჩავა და ებრალიძე, მგრძნობიარე სიტყვებს ამბობენ: ამხ. კ. ჟღენტი ნიკ. იმნაიშვილი, ოცისთავი მენაბდიშვილი. აქვე შეგროვდა ათას მანეთზე მეტი ძეგლის ასაგებათ. შემოწირულება დღესაც გრძელდება კოოპერატივის გამგესთან. შემდეგ ხალხი მშვიდობიანათ დაიშალა. **პ. ლეხელი.**

**ლანჩხუთი.** ძველი მთავრობის დამხობამ ენით გამოუთქმელი აღფრთოვანება გამოიწვია, იმ მთავრობის, რომელიც ამდენი ხანია მაჯლაჯუნასავით აწვა თავზე რუსეთის ხალხს და სულს უხუთავდა. დიდი, პატარა, ქალი და კაცი, ყველა ერთი აზრით არიან გატაცებულნი: ზურგი გაუმაგრონ ახალ დროებით მთავრობას, რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ამ დიადი მოვლენის დღესასწაულობა მოწაფე ახალგაზრდომ მოასწრო ხალხს, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადის აწ განსვენებულ ბებელის თქმისა არ იყოს ახალგაზრდობა ბუნებით რევოლიუციონერია, მას ბუნებრივათ სძულს ყოველივე ძველი და უყვარს ახალი, ახალგაზრდული ტემპერამენტით მიილტვის წინ.

9 ამ თვეს დილით პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ყველა კლასის მოწაფეები ჩამწკრივებული, სრული წეს-რიგით, წითელი დროშა და თავისუფლების ჰიმნის სიმღერით გაემართენ სადგურისაკენ. იქ მათ თავისი დროშით შეუერთდენ საქალებო პროგიმნაზიის მოწაფეები. აქედან სამინისტრო ორკლასიან სასწავლებლისკენ გასწიეს. გზადაგზა უერთდებიან პროფესიონალურ სასწავლებელთა მოწაფეები საკუთარი დროშებით სამინისტრო სასწავლებელთან გაჩერდნენ და პატარა ამხანაგებს მიულოცეს რუსეთის განთავისუფლება. გაიმართა აქ ტრიბუნა. პირველად ლაპარაკობს პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის IV კლასის მოწაფე ლადიმე პერტაია. მისი გრძნობიერი და გულწრფელი სიტყვა ტაშის გრიალს და ურას ძახილს იწვევს მოწაფეთა შორის, შემდეგ ილაპარაკა ხონის მერვე კლასის გიმნაზიელმა შოთა ვადაჭკორიამ. ტრიბუნაზე ადის კალე ჟღენტი—მას მთელი მოწაფეები ტაშის ცემით ეგებება. ის უხსნის მოწაფეებს რას წარმოადგენდა ძველი რუსეთის სკოლა, რას ემსახურებოდა და როგორ უნდა მოეწყოს აწი სწავლა-აღზრდის საქმე. შემდეგ ლაპარაკობს კ. ებრალიძე. აქედგან გაემართენ მოედნისაკენ. გზადაგზა ხალხი უერთდება, მოედანთანვე ადგილობრივი ჯარიც შეუერთდა. მოწაფეთა მიტინგმა გრანდიოზული ხასიათი მიიღო. საჭირო შეიქნა რუსულათაც ლაპარაკი. ტრიბუნაზე ადის ნიკო ფირცხალაიშვილი, მოუწოდებს დაეხმარონ ხალხს რეაქციასთან ბრძოლაში. შემდეგ კალე ჟღენტი მიმართავს ჯარს და ეუბნება, რომ ისინი იგივე ხალხის შვილებია მათი და ხალხის ინტერესები ერთი და იგივეა და ამიტომ ისინი ყოველთვის ხალხთან უნდა დარჩნენ. მოწაფეების მიტინგმა ერთხმათ მოითხოვა სწავლა სწარმოებდეს ქართულ ენაზე მიტინგი სრულ წეს-რიგით დაიშალა შუადღის 12 საათზე.

12 ამ თვეს ნათლისმცემელში გაიმართა მთელი ლანჩხუთის საზოგადოების მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციისა და დროებით კომიტეტის მიერ არჩეული პირები. მიტინგი გახსნა ნიკო ფირცხალაიშვილმა. მოკლეთ მან გააცნო ხალხს დღევანდელი მომენტი და მოუწოდა აერჩიათ პრეზიდიუმი, რომელიც გაუძღვებოდა მიტინგს. ერთხმათ არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ ქუთაისიდან ჩამოსული ამხანაგი გიორგი ტუსკია, თავმჯდომარის ამხანაგათ კალე ჟღენტი, მდივნათ კირილე გიორგაძე. თავმჯდომარემ მხურვალეთ და მკაფიოთ ილაპარაკა ახლანდელ მომენტზე, მოპოვებულ თავისუფლებაზე და მის შენარჩუნებაზე. მოაგონა ხალხს ამ ბრძოლაში დაცემული ამხანაგები, აგრეთვე ჩვენი დიდებული მასწავლებელი ნოე ჟორდანია და უსურვა მას გამარჯვება. ხალხის ტაშის გრიალი და „გაუმარჯოს" ყვირილი აყრუებს არე მარეს. შემდეგ განსაკუთრებულ მინდობილობით ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმა: ვარლამ შარაშიძემ, ნიკო ფირცხალაიშვილმა, კალე ჟღენტმა ილაპარაკა რუსეთის რევოლიუციაზე.

შემდეგ თავისი სურვილით ილაპარაკეს კოკი ებრალიძემ, შოთა ვადაჭკორიამ, მღ. ჯორბენაძემ, ექ. ორაგველიძემ და სხ. შემდეგ მთელი ეს ზღვა ხალხი გაემართა ჩაჩავასა და ებრალიძის სასაფლაოსკენ, რომელნიც მოკლულ იქნენ მაშინდელ ბოქაულ კვაშალის მიერ 1903 წ. სასაფლაოზე კალე ჟღენტმა ილაპარაკა მან სთქვა, რომ ეს თავისუფლება არ არის 27 თებერვალს მოპოვებული, რომ ეს შედეგია ხანგრძლივი წვალებისა და ბრძოლის, რომლის ველზე დაეცენ, უდროოთ მოსწყდნენ სიცოცხლეს ხალხის საუკეთესო შვილები და მიუთითა დახოცილ ამხანაგებთა სასაფლაოზე. ილაპარაკა აგრეთვე ნიკიტა იმნაიშვილმა. დასასრულ ზოსიმე მენაბდიშვილმა მიმართა ხალხს წინადადებით მო-

გროებიათ ფული დახოცილ ამხანაგების ძეგლის ასაგებათ, რაც ალტაცებით იქმნა მიღებული, ხელთ მოწერა იქვე გაიმართა. შემოწირულებანი უხვია.

მიტინგმა ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. გაეგზავნოს მისალმების დეპეშა სახელმწიფო დუმას, აღმასრულებელ კომიტეტს როდძიანკოს სახელზე და პეტროგრადის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს. რეზოლიუციაში ნათქვამია დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნას ყველა ძველი ადმინისტრაცია და ფრონტზე გაგზავნილი, განმტკიცებულ იქნას სრული თავისუფლება სიტყვის, ბეჭვდის, კრების, კავშირების და ორგანიზაციების, ეროვნებათა გათანასწორება, დამფუძნებელ კრების საჩქაროთ მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით და ბოლოს ფსურვებს გამარჯვებას.

აგრეთვე გაეგზავნოს მისალმების დეპეშა ჩვენ დიდებულ მასწავლებელ და ხალხისთვის მრავალ ტახჯულს თფილისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. საღამოს 6 საათზე სრული წესრიგით ხალხი დაიშალა. რეზოლიუციების გაგზავნა მიენდო პრეზიდიუმს.

კან-ჟან.

**ს. დიდი-ჯიხაიში** 12 მარტს აქ მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი აღარ ქონდა. ორატორების სიტყვებს მხურვალე ტაშით აჯილდოვებდენ. ილაპარაკა ათამდე ორატორმა, მათ შორის ორმა ქალმა. დასასრულ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია და დაადგინა მიესალმოს დეპეშით ახალ მთავრობას, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს. და ყოველი ღონით დაუჭირონ მხარი მათ. აგრეთვე მიტინგი მოითხოვს დამფუძნებელი კრების საჩქაროთ მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საშუალებით, განურჩევლათ წოდებისა, რწმენისა და სქესისა, სადაც გაირჩევა ზავისა და ომის საკითხი. მანვე დაადგინა საზოგადოების წესიერების და რევოლიუციის დარაჯათ დროებითი კომიტეტმა იყოლიოს რაზმი 4 კაცისაგან შემდგარი, რომლის ჯამაგირს სოფელი იხდის წელიწადში 2400 მ.

ლ. ზემოხეთელი.

**საჩხერე** 10 მარტს საჩხერეში გაიმართა მიტინგი ადგილობრივ ორ-კლასიან სკოლის ეზოში, სადაც მრავალი ხალხი დაესწრო. ასე რომ მთელი ეზო ხალხით იყო სავსე. იყვენ მოსულნი, როგორც გარშემო საჩხერის სოფლებიდან, აგრეთვე დ. ჭიათურიდან. მიტინგზე მონაწილეობა მიიღო უმეტეს ნაწილათ ჭიათურის ძალებმა. ჭიათურიდან იყვენ მგალობლების ორი ჯგუფი დროშებით და აგრეთვე ორატორებიც. მშვენიერი სანახავი იყო, როდესაც ჭიათურიდან მოსულმა აჟარებულმა ხალხმა ამოიარეს მარსელიოზის სიმღერით და რამოდენიმე დროშებით. ქუჩებში მათ ხვდებოდათ აჟარებული ხალხი, რომლებიც ურასა და გაუმარჯოს თავისუფლებას ძახილით უმასპინძლდებოდენ.

ენით აუწერელია ის აღფრთოვანება და სიხარული ხალხისა, რომლის მოწმენი ჩვენ გავხდით· ყველას გაეგო სოფლებში, რომ აღარ არის ის ძველი მთავრობა, რომელსაც დაღუპვის გზაზე მიყავდათ რუსეთის სახელმწიფო. და ამის გამო ყველა მხიარულათ ეგებებოდა.

სანამ მიტინგი მოხდებოდა, შესდგა წინასწარი კრება თეატრის დარბაზში, სადაც იქნა ამორჩეული დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი: ა. სულამანიძე, ლ. იაკობაშვილი, ა. იურკევიჩი, მ. ნიკურაძე, პ. კინწურაშვილი, თ. პეტ· წერეთელი, პ. ქებაძე, გ. ტინტილოზოვი, მარ. საათოვი, ხამ. ელიაშვილი და აბ. კიკოზაშვილი. ამორჩევის შემდეგ კრება დაიშალა და გაეშურა იქ, სადაც მიტინგის ადგილი იყო დანიშნული. წარმოთქმულ იქნა მრავალი სიტყვები, სადაც ყველა აღნიშნავდა, რომ საჭიროა სიმშვიდე და სიწყნარე. ხალხი გულმოდგინეთ უყურებდა. სხვათა შორის ილაპარაკეს დროებითი მთავ. ამორჩეულმა პირებმა: თ. პ. წერეთელმა საათოვმა და ნიკურაძემ. მიტინგზე დიდი სიმშვიდე იყო. შემდეგ ხალხი მშვიდობიანათ დაიშალენ.

დიდი მადლობის ღირსია ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტი, რომ საჩხერის საზოგადოებას დაეხმარა ამ საქმეში. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია ანდრო ხიზინაშვილი, რომ არ დაიზარა და საჩხერის საზოგადოებას დახმარება გაუწია.

გაიმართა მიტინგი აგრეთვე არგვეთის ჩიხ სა და ქორეთის საზოგადოებაში. ქორეთის საზოგადოებაში ამოირჩიეს შემდეგი პირები: დ. შარვაძე, ვ. კაპანაძე, ვ. წერეთელი, ს. ტყემალაძე, ტ. ქავთარაძე, ალ. დეკანოიძე, გიორგი ნადირაძე, პ. გოგიტაშვილი, ბ. აბდუშელიშვილი, რ. ეშაპიძე, ლ. ლომიძე, შ. ქარაბაქი, შ. გოდაბრელიძე და გ. ჭეჭინაძე, მათ კანდიდატებათ: ვანო ჟორჟოლაძე და ვანო ქემუშაძე.

შალიკო ხვადაბუნელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**ქ. ბათუმი.** 10 მარტს 1917 წელს ქალაქ ბათუმი წარმოადგენდა დიდ სანახაობას. უანგარიშო ხალხი, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, აღგზნებულ ცეცხლივით მოედო მთელ ბათუმის არე მარეს. ვერც ერთ ქუჩას ვერ ნახავდით, რომ ბრწყინვალების შუქი და ელვერი არ ქონებოდა მიცემული, ყოველგან გაკრულ მოწოდებას დიდის ყურადღებით კითხულობდნენ. მოწოდებული იყო ამ დღისთვის დიდი მიტინგი, დიდი რევოლიუციის მებრძოლების დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავად. ეს მოწოდება ელვასავით მოედო მუშათა უბანს, დღის ათი საათიდგან ხალხმა იწყო შეკრება თვითმმართველობის დერეფანში. პირველი დროშა თავისუფლების აღმართეს შავი ზღვის ჯარის კაცებმა, რომლებმაც დილა ადრიან ჩამოიარეს მარინსკი ქუჩით მარსელიოზით და ურას ძახილით. შემდეგ მიადგნენ ყაზარმებს, აქ შემოუერთდა ჯარი. ხალხმა მოითხოვა მუსიკა, მუსიკამ დაუკრა საგალობელი მარში, ხალხმა მუხლი მოიყარა. აქედგან ხალხი დაიძრა ერისტოვის ქუჩით, მარინსკის პროსპექტით, შეპელევის ქუჩით, ასათიანის ქუჩით და მოიყარა თავი თვით მართველების დერეფანში, სადაც აჟარებული ხალხი დაუხვდა. საათის 12 ტი იყო, როდესაც გამოჩნდა წითელი დროშების ქვეშ თვითმართველობის ლომბარდის გამგე ბ. სოგოროვი. მან გახსნა კრება და ურჩია აერჩიათ თავმჯდომარე თავმჯდომარეთ აირჩიეს თვითონ სოგაროვი. კრების გახსნის შემდეგ სიტყვა სთქვა ე. მ. კრინიცკიმ, შემდეგ ილაპარაკეს რამოდენიმე ორატორებმა, სახელდობრ: ქართულად კაპიტან გოგოლაძემ, რუსულად: ლემდანმა, მუშათა წარმომადგენელმა მიხაილოვმა, რუბიცკიმ, მალხაზოვმა (აფიცერთა და სალდათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე). მღვდელმა დონის ყაზახთა რაზმისა ლაჟინსკიმ, დაჭრილმა ოფიცერმა კოსტილევმა, შავი ზღვის ჯარის კაცმა გოცმანმა და სომეხთა წარმომადგენელმა სომხურ ენაზე გაბრიელიანცმა.

დასასრულ თავმჯდომარემ სოგოროვმა გააცნო ხალხს ამ დეპეშის შინაარსი რაიც, ეგზავნება მუშათა და სალდათების დეპუტატს და ახალ მთავრობათა შემადგენლობას ბათუმის საზოგადოების მიერ და დასძინა, რომ კვირას 12 მარტს სობოროს ეკლესიაში იქნება დიდი პარადი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ბათუმის ჯართა ყველა ნაწილი ე. ი. მთელი გარნიზონი და გაიმართება უდიდესი მიტინგი. ხალხი სიამოვნებით შეხვდა ამ გამოცხადებას და კმაყოფილი დაიშალა.

გ. შემოქმედელი.

**აქსენტი სამსონის ძე წიქვაძის ხსოვნას.**

კარაკლისში 28 თებერ. 1917 წ. სამი დღის ავათმყოფობის შემდეგ გამოვესალმა 17 წ. ჯან-საღი კეთილი გრძნობებით აღსავსე ახალ-გაზრდა ჩემთან მომუშავე აქსენტი ს. წიქვაძე. განსვენებული ოჯახის უფროსი ვაჟი იყო, მამა სამხედრო სამსახურში ყავს. სახლში დედა და პატარა და ძმები, ვიტანჯები რა ძვირფასო აქსენტი და თავს დაგტირი მწუხარებასა შინა მყოფი გრიშა გაბ. ახობაძე.

ბ. რედაქტორო! გაახლებთ 11 მ. აქსენტი სამსონის ძის წირქვაძის ხსოვნის აღსანიშნავათ სამი მან. გაზ. „ერთობის“ ფონდისთვის, რვა მან. კი გაუწერეთ ექვსი თვით „ერთობა“ ქუთ. მაზრაში სოფ. ჩხუმურში. ამასთან უმორჩილესათ გთხოვ ბატ. რედაქტ. დაგვიბეჭდოთ შემდეგი მშობლების საყურადღებოთ. აქსენტი მუშაობდა ჩემთან სამი თვე და ოცი დღე თვეში ჯამაგირი 25 მ. ქონდა და პრაცენტი ჯამაგირი ერგო 91 მან. პრაცენტი 26 მან. 60 კ. სულ 117 მან. 60 კ. ეხლა ძველები აქვს, რომლებსაც სახლში ვერ ვაგზავნი სიშორის გამო 13 მან. შედგება მთელი ჯამი 130 მ. 60 კ. ამათში დიდი ხანი არ არის ანგარიში მიღებული ქონდა 109 მან. ე. ი. მე ანგარიშიდან უგზავნი მშობლებს 21 მ. 60 კ. ჩემის მხრიდან დახმარებას უწევ იმას გარდა, რაც მე იმისი დაკრძალვა დამიჯდა 50 მან., ე. ი. ვუგზავნი მის დამწუხრებულ დედას 71 მან. და 60 კ. და უერთებ მისი მშობლების ცხარე ცრემლებს ჩემ ცრემლებს და მწუხარებას.

გრიშა გაბრიელის ძე ახობაძე.

## გაზეთის სასარგებლოთ.

**ქ. თფილისი.** ჩვენ თფილისის საშვალო კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეებმა ვიცით, რომ მუშათა გაზეთის არსებობა მხოლოდ მუშათა თანაგრძნობასა და ნივთიერ დახმარებაზეა დამყარებული და ჩვენც ზემოხსენებული სასწავლებლის მოწაფეები უერთდებით მუშეთა ჹ გლეხებს ჹ გიგზავნით ჩვენი გაზეთის „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენს წვლილს. შემომწირველთა სია: 1 მ.—შალიკო ხუბაშვილმა, ათათი შაური: ი. აბაშიძე, პ. ჯულელი, ა. გვაზავა, ზ. ქანანოვი, დ. დასამიძე, პ. ონოლიელი, ვასო სარიშვილი, К. Тріандафиловъ, Л. Шахбазовъ, Ч. Султановъ, Б. Кашаловъ, შვიდი შაური: К. Гасановъ; ექვს-ექვსი შაური: Ш. Ашуба, М. Зашановъ, С. Лукаевъ, Марковъ, А. Искандербековъ, ხუთ ხუთი შაური: ვ. მარტოლევი, რ. ბარბაქაძე, ე. ციციაშვილი, კ. გაბუნია, Оганезовъ, პ. დუნდუა, შალიკო სიხარულიძე; თითო აბაზი: ი. ნასარიძე, კ. მეგრაბიანცი, О. Симонянцъ, Умбріевъ, Асарянцъ, К. Григорянцъ, А. Луарсабовъ, კ. ჯაფარიძე; სამსამი შაური: რ. ბეჟაშვილი, ა. კალმახელიძე, დ. ციბაძე. სულ 12 მან. 15 კაპ.

ამხ. მონდ. პართი ონოლიელი.

მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთის „ერთობის“ სასარგებლოთ შემოსწირეს შემდეგ პირებმა: თითო მანეთი: მალ. არჩვაძემ, ფ. ჴეცაძემ, ლ. გოგოშიძემ, თომა მაისაშვილმა, ერასტი მეგრელიშვილმა, იასონ ნარტმელაძემ, მ. ნიკოლაიშვილმა, ბ. ქვათაძემ, ი. აბაიშვილმა, თ. ბიჭაშვილმა, ხ. კაციტაძემ, ა. კაციტაძემ, ვ. ნეფარიძემ. სულ 13 მ.

მონდობილობით. ლ. გოგოშიძე.

ძნელია როდესაც ხელიდან გვეცლება მშრომელი ხალხის მოამაგე. ასეთი მოამაგე იყო კოსტა გას. ბერუჩოვი. კოსტა ბერუჩოვი დ. ონიდან იყო. ჯერ 27 წლის ახალ-გაზდა 1905 წლიდან ის მოძრაობას მიემხრო და გატაცებით დაეწაფა განვითარებას. მას მტკიცეთ სწამდა, რომ ცოდნა ძალაა. 1916 წელს კოსტა ავათ გახდა. 1917 წელს 20 იანვარს კოსტა სამუდამოთ გამოესალმა წუთი-სოფელს. ამასთანავე გაახლებთ კოსტას მოსაგონებლათ 20 მ. და გთხოვთ შემდეგ ნაირათ გაანაწილოთ: ორ-ორი თვით მიაწოდოთ დ. ონის, ს ჩხერის და ჩხარის ბიბლიოთეკას გაზეთი, აგრეთვე ორ-ორი თვით ფრონტებზე მყოფ ჯარისკაცებს გაუგზავნეთ. დანარჩენი „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

გრიგოლი და ე. ბერუჩოვი.

**ბათუმი** (ზელიონი მისი). სულით და გულით აღტაცებულნი და სიხარულით აღჭურვილნი თანამედროვე ისტორიულ მბებით გილოცავთ მშრომელ ტანჯულ ხალხს აწ განთავისუფლებას და ძველი მთავრობ ს დამხობას. მხურვალე სალამი და დიდება ჩვენს ბუმბერაზ მოთავეებს. ვისახავთ რა მიზნათ ჩვენი გაზეთის გაღონიერებას და გაძლიერებას, გიგზავნით ბათუმის ბოტანიკურ ბაღის მუშათა, მოხელეთა და მოსამსახურეთა შორის შეგროვილ ოცდა ცამეტ მანეთს და ათ შაურს. შემომწირველთა სია: მიხეილ გორდეზიანი 10 მ.; Павелъ Чернявскій 5 р.; ოსმან ხინიკაძე 3 მ.; ორ ორ მანეთნახევარი: Хацуrоръ Канаяма, მაჭუდ ნაჟიძე, სამსონ ჩხაიძე; ორ ორი მანეთი: ხასან ხინიკაძე, მემედ ხაბაზი; ელიაზარ ჯინჭარაძე 1 მ.; ა. თ—ძე 3 მ.

ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ ათინოგე წულაძისაგან 5 მ. და მიხ. ბურჭულაძისაგან 5 მ.

ლავრენტი ს. დავითულიანისაგან გაზეთის ფონდისთვის 3 მ.

ვიღებთ რა მხედველობაში გაზეთის მატერიალურ-კრიტიკულ მხარეს, გიგზავნით ჩვენი ორგანოს სასარგებლოთ 3 მანეთს. მიიღეთ გულწრფელი სალამი.

ჯ. კ. პორფილე მეხუზლა.

**კავკასიის ფრონტიდან.** გიგზავნით ამხანაგთა შორის შეკრებილ მცირე წვლილს ჩვენს სატრფიალო გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ. შემომწირველთა სია: გერასიმე ოსეფაშვილმა 2 მ. 50 კ.; ალექსანდრე შავნგირაძემ 2 მ.; თითო მანეთი: ამბაკო ხურციამ, ალექსანდრე ეფრემიძემ, ვლად. მელქაძემ, პორფილე ტრაპაიძემ; ათ-ათი შაური: არტემ გიორგობიანმა და ვანო მიქაძემ. სულ 9 მ. 50 კ.

ამხანაგების მონდობილობით გერასიმე ოსეფაშვილი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესათ გთხოვ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა უძღვნათ ბ. გ. ს. კელენჯერიძეს, რომელმაც სად. საჯავოხოს უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ, კეთილი ინება და შეგვიგროვა 101 მან. თავის ნაცნობ მეგობრებში. შემომწირველთა სია:

გ. ს. კელენჯერიძემ 4 მ. 64 კ.; პ. ტონიამ 50 მ.; მ. ლორიამ 3 მ.; ხუთ-ხუთი მანეთი: ბაირამოვმა, რაზაევმა, მლ. კ. კელენჯერიძემ; ორ-ორი მანეთი: ა. ჩურაძემ, ი. ჩანტლაძემ, ს. ცინცაძემ, ი. შარაშიძემ; ა. ხუნდაძემ 1 მ. 50 კ.; თითო მანეთი: მ. ჭანიშვილმა, მ. რამიშვილმა, ფ. რამიშვილმა, ს. კუჩავამ ფ. სავენკომ, გ. ცინცაძემ, კ. გ. მიქელაძემ, ნ. ქორიძემ, ო. კალანდაძემ, ლ. გალობიშვილმა, გ. იაშვილმა, კ. კ. ერისთავმა, გ. ჩიგოგიძემ, ი. რამი ვილმა; ათ-ათი შაური: მ. რამიშვილმა, ი. მამალაძემ, გ. ოსეფეშვილმა, ვ. გრიგოლიამ; ვ. ჩიჩუამ 90 კ.; ი. ჩიჩუამ 40 კაპ., მ. ჭილაძემ 60 კ.; ა. მელიამ 60 კ.; ვ. გიორგაძემ 6 კ.; მ. ხუნდიაშვილმა 30 კ.

პატივის ცემით გამგეობის მონდობილებით ცეცილია ჯაში.

## ცნობები
### ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ნესტორ კოსტანტინეს ძე კვირკელიძე, ბახვის საზოგადოების, უჩხობის მცხოვრები მსახურობდა კავკასიის მომქმედ ჯარში, მეოთხე სამხედრო საექსპედიციო კორპუსში; ვთხოვ ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს: ბათომში, რკინის გზის დეპო სილევან კვირკელიძეს.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

**ექიმი ივანე თიკანაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**გ. ვ. მეგრაბიანცი**
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისდუშივენის, —ტიპითა. დიდი სალინოიდი ხმელიალური მიღება და არხონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემალის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი კ ი გვარჯალაძე**
შინაგან და [illegible] სნეულებიანი ავათმყოფებს [illegible] საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
**ექიმი გ. ი. ჩხენკელი**
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი
**ექიმ გ. ი. გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

უზომო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ანეტა, შვილები ქეთო, პალადი და ზოია, დედა ბარბარე, ძმები სეილან, რაფიელ, მაკარი და ივანე, რძლები ოლინკა, ეფემია და მარო, სიმამრი გიორგი და ცოლის ძმა ბიკტორ მახარაძე განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

**ეპიფანე ოქროპირის ძე გოგუაძის**

ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდს, რომელიც დანიშნულია კვირას, 19 მარტს ჭანჭათის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე.

გულდამწვარი მეუღლე ალათი სტეფანეს ასული თავის ობლად დარჩენილ სამი პაწია შვილებით, დედა, ძმა კიმოთე და ასლანი თავის მეუღლით, ცოლის ძმა ზაქარა ბიჭაშვილი მეუღლით, ქვისლი ლადო აგლაძე მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს

**ნესტორ ივანეს ძე ტოროშელიძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დინიშნულია დღეს, 18 მარტს მიცვალებულის სახლში 4 ნახ. საღამოთი. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 მარტს, წირვის შემდეგ ნაძალადევის ეკლესიიდან გასვენებული იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2—1

ღრმათ დამწუხრებულნი ერმალო ელიზბარის ძე, (ევტიხი) კიკილო ერმ. ლოს ძე, ოლია დიმიტრის ასული, ვიქტორ ელიზბარის ძე ევპრაქსი კოსტანტინეს ასული ბოლქვაძეები, პირველის მეუღლეს, მეორის დედის, მესამის დედამთილის მეოთხე და მეხუთეს დაუვიწყარი რძლის

**გულჩინა ბესარიონის ასულის ბოლქვაძისას**

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოს ეკლესიაში 18 მარტს, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ.

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
მიხეილოვის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა.
შაბათს, 18 მარტს,
**სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.**
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. სტუმრები საზოგადო წესით.

**კვირას, 19 მარტს, დილის 12 სათზე შესაგოს სახელოსნოში დანიშნულია ადელხანოვის მუშათა კოოპერატივის**

## წლიური საზოგადო კრება,

რომელიც განიხილავს შემდეგ კითხვებს: 1) გამგეობის მოხსენება, აღნიშნული საზოგადოების მდგომარეობაზე. 2) მოხსენება, რევიზიონი კომისიის წევრებისა, ანგარიშების გაშინჯვის საქმის ვითარებაზე. 3) 1916 წლის ანგარიშის დამტკიცება. 4) რა რიგათ უნდა გაიყიდოს საქონელი? (ნისიათ თუ ნაღდათ). 5) 1916 წლის მოგების გაწესრიგება. 6) განხილვა 1917 წლის გასავლის აღნუსხვისა. 7) არჩევნები გამგეობის კომისიის წევრებისა და მათი მოადგილეებისა. 8) არჩევნები სარევიზიო კომისიის და მათი მოადგილეებისა. 9) ინსტრუქციის დამტკიცება გამგეობისათვის. 10) მიმდინარე საქმეები.

გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს ყველა ამ საზოგადოების წევრებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას, უკეთუ ეს კრება არ შესდგა კანონიერი წევრების რიცხვით, შემდეგი კრება იქნება 27 მარტს, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება.

## თფილისის კომისარიატის აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება.

ამით ეუწყება ყველას, რომ ამა წლის მარტის 14 დან თფილისის გუბერნიის მართვა-გამგეობის საქმე იკისრა თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა. ამიტომ ყველა საქმისა და ცნობებისათვის უნდა მიმართოთ გუბერნატორის კანცელარიაში და საგუბერნიო მმართველობაში. გუბერნატორისა და ვიცე-გუბერნატორის თანამდებობა გადავიდა კომისარიატის —ა. ი. ხატისოვის, ნ. ნ. ჟორდანიას და დ. მ. პოპოვის ხელში. 3—2

## აღმასრულებელ კომიტეტისაგან
### გაზეთები ფრონტისათვის.

ბრძოლის პირიდან ყოველდღე მოგვდის წერილები და გვთხოვენ გაზეთებს. მივმართავთ მცხოვრებთ თხოვნით: ყველა წაკითხული გაზეთი ყველა ენაზე უნდა მიიტანოთ მახლობელ საპოლიციო ნაწილში ან ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში, ან ქალაქის გამგეობაში. აქედან გაზეთები კომიტეტის განკარგულებით კავკასიის ფრონტზე გაიგზავნება.

(3—2) კომისარები: ა. ხატისოვი, ნ. ჟორდანია, ლ. პოპოვი.

**ქ. თფილისში, ოლღის ქ. №6, მ.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია**

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველნაირი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.

მიიღება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები ახალი [illegible]“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. განათლება“, „კავკასკოე სლოვო“, „ორიზონი“, „პაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუხაძისა გაზაევის შესახვევი.